დროშა

№ 5 მაისი 1952

619
1952

პირველი მაისი

მუსიკა მ. თაქთაქიშვილისა



პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

დროშა

№ 5 (10) მაისი 1952

გამომცემლობა „კომუნისტი“

ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სალიტერატურო-სამხატვრო ჟურნალი



საპირველმაისო პარადი და თბილისის მშრომელთა დემონსტრაცია ლ. პ. ბერიას სახელობის მოედანზე. ტრიბუნაზე მარცხნიდან მარჯვნივ: ამხანაგები კ. გუჯიაშვილი, კ. ციმაკურიძე, ვ. გუჯიაშვილი, რ. კვირკველია, ნ. რუხაძე, ვ. ცხოვრებაშვილი, ზ. კეცხოველი, ა. მგელაძე, ა. ანტონოვი, ზ. ჩხუბიანიშვილი, ვ. ბაძრაძე.

50 73

თბილისი. გამარჯვების დღე. სალუტი.



მაღალ სართულებისკენ

ედ. ყიფიანი

1929 წელია.

გამოყენებითი მინერალოგიის საკავშირო ინსტიტუტის ა/კ განყოფილების შენობაში უჩვეულო გამოცოცხლებაა; ქართველ გეოლოგებს, ახალგაზრდებს და ხნოვანებს, ზურგზე რიუკზაკები მოუგდიათ, ხელში ჩაქუჩები მოუმარჯვებიათ და მოუთმენლად ელიან გამგზავრებას. ისინი სალაშქროდ გამზადებულან, უნდა დაზვერონ საქართველოს მთიანი რაიონები, იქ აუცილებლად იქნება მარმარილო — ასეთი აზრი აქვს აკადემიკოს ა. ა. თვალჭრელიძეს — საექსპედიციო ჯგუფის ხელმძღვანელს და ლაშქრობის ინიციატორს...

გეოლოგებმა პირველად თელავის რაიონი მოიარეს. გულდასმით დაზვერეს თვითეული კუთხე, თვითეული უბანი, საერთო საქმით გატაცებული ქართველი გეოლოგები თანდათან მიიწევდნენ მაღლა, მთებისაკენ... მარმარილო კი არ ჩანდა. თითქოს მარცხით უნდა დამთავრებულიყო ეს ლაშქრობა, მაგრამ აი, ზღვის დონიდან 1850 მეტრის სიმაღლეზე, ლოპოტასთან, მოულოდნელად აღმოჩნდა თეთრი და ნაცრისფერი მარმარილოს მდიდარი საბადო. პირველმა მიღწევამ ფრთები შეასხა ქართველ გეოლოგებს. ამის შემდეგ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ზედიზედ იქნა აღმოჩენილი მარმარილოს მაღალხარისხოვანი საბადოები; სადახლოში — მუქი ნაცრისფერი, შროშაში (ზესტაფონის რაიონი), სალიეთში (ჭიათურის რაიონი), და მოლითში — წითელი მარმარილო. 1932 წელს ამ საბადოებს უკვე დასამუშავებლად ესტუმრნენ; დაიწყო მარმარილოს კარიერების დამუშავება. საფუძველი ჩაეყარა ქართული მარმარილოს მრეწველობას.

მალე საბჭოთა კავშირში დაიწყო ჩვენი ქვეყნის სიამაყის — მოსკოვის მეტროპოლიტენის პირველი და მეორე რიგის მშენებლობა. შროშისა და სადახლოს მარმარილოთი მოპირკეთებული იქნა მეტროს სადგურები: „კრასნიე ვოროტა“, „პლოშჩად რევოლუციი“, „მაიაკოვსკაია“ და სხ.

მოთხოვნილება საქართველოს მარმარილოზე წლითიწლობით იზრდებოდა.

სამამულო ომის პერიოდში საბჭოთა ხალხს არ შეუწყვეტია მოსკოვის მეტროპოლიტენის მშენებლობა. საქართველოს მარმარილოს კომბინატი განაგრძობდა მასალის მიწოდებას ამ მშენებლობის მესამე რიგისათვის...

ომის შემდეგ ფართოდ გაიშალა მრავალსართულიანი სახლების მშენებლობა. მარმარილოს დიდმა მოთხოვნილებამ კიდევ ერთხელ აამოქმედა ქართველ გეოლოგთა და ინჟინერთა ჯგუფი; 1946 წელს ზემო სვანეთის მიუვალ მთებში დაიწყო თეთრი მარმარილოს საბადოების დამუშავება. ჩვენი ქვეყნის მშენებლებმა და ინჟინრებმა მარმარილოს თავისი ბუნებრივი მდებარეობა „შეუნარჩუნეს“; სვანეთის მაღალ მთებში დაბადებული მარმარილოს ქვები დამუშავების შემდეგ ისევ მაღალ სართულებზე აღმოჩნდნენ მოსკოვის, სტალინ-

გრადის, კიევის, როსტოვის, ლვოვის და სხვა ქალაქთა მრავალსართულიანი სახლების ფასადებზე.

მარტო მოსკოვის სახ. უნივერსიტეტის მშენებლობას 1951 წელს გაეგზავნა 1 500 კვ. მეტრი მარმარილოს გაკრიალებული დაფები, 42 ვაგონი მარმარილოს ნამცეცი. სხვადასხვა მომხმარებლებს გაეგზავნა 500 ვაგონამდე მარმარილოს ლოდები, 11.000 კვ. მეტრი გაკრიალებული დაფები და სხვ.

გაიზარდა მარმარილოს გამოყენება ჩვენს რესპუბლიკაშიც; ადგილობრივი მარმარილოა გამოყენებული წყალტუბოს აბაზანებისა და სასტუმროს მშენებლობაზე, სოხუმის სადგურზე, ბულაჩაურის წყალსადენზე, ქვანახშირის მრეწველობისადმინისტრაციული სახლის მშენებლობაზე, საქართველოს სსრ მთავრობის სახლის მოპირკეთებისათვის და სხვ.



თბილისის მარმარილოს გადამმუშავებელი ქარხანა. მარმარილოს დახერხვა.

საქართველოს მარმარილო არა მარტო რესპუბლიკის, არამედ საბჭოთა კავშირის საზღვრებსაც გასცდა: ჩვენი მარმარილოთი მოპირკეთებულია მონგოლეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის სახლი.

მარმარილოს მრეწველობის განვითარებამ თავისთავად გამოიწვია დამუშავების მექანიზაციის გაუმჯობესება. სხვადასხვა საბადოზე მოწყობილია კომპრესორები, ამწეები, აშენებულია პატარა სიმძლავრის ელსადგურები, გაყვანილია მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზები. ლოპოტის საბადოსკენ გაიჭრა საავტომობილო გზა, შეწყდა ურმების ჭრიალი; კარიერებიდან სადგურ თელავამდე ახლა ავტომანქანებით ეზიდებიან მარმარილოს.

ამ ღონისძიებათა შედეგად მარმარილოს ამოღება 19-ჯერ გაიზარდა 1949 წელთან შედარებით.

დაისახა ახალი ამოცანები მშვიდობიანი აღმშენებლობის გიგანტური განვითარებისა. დაიწყო კუიბიშევის და სტალინგრადის ჰიდროელსადგურების, სამხრეთ უკრაინისა და ჩრდილოეთ ყირიმის, თურქმენეთისა და ვოლგა-დონის არხების მშენებლობა.

საქართველოს მარმარილოს კომბინატის წარმოებათა მუშაკები ძალ-ღონეს არ ზოგავენ იმისათვის, რომ განავითაროონ მარმარილოს მრეწველობა და თავიანთი წვლილი შეიტანონ სტალინური ეპოქის ამ დიად მშენებლობებშიც.

თბილისის მარმარილოს გადამმუშავებელი ქარხანა. მარმარილოს პოლირება.

ფოტო ნ. ჯომიდავასი



ბერძენი დედის წერილი სტალინს

ხუცა ბერულავა

დილეგი გახდა ჩვენი ათენი,
როგორც იტყვიან, ღმერთსაც შევძულდით,
გაგვითამამდნენ მოღალატენი
და ყველაფერი წარყვნეს ბერძნული.

მამულს წაართვეს სინათლე თვალის,
სურთ ამოჰხადონ სულიც ძლიერი,
ჩვენს ქვეყანაში,
ძვირფასო სტალინ,
ჩვენს ბედს განაგებს გადამთიელი.

ვინ სთხოვა მოსვლა, ანუ ვინ არის?
(მისი სახელი იყოს წყეული!),
ყოველ ეზოში, ვით ოწინარი,
დგას სახრჩობელა თავაწეული.

კარიდან კარად სიკვდილი დადის,—
მცირე ხნით მაინც დაახანებდეს,—
და ჩემს პირმშოსაც სიკვდილის ლანდი
დასდევს, აწვალებს, თავს არ ანებებს.

შვილი... ის დამრჩა ქვეყნად ნუგეში,
მასზე ამომდის მზეცა და მთვარეც,
და ვგრძნობ, სულ მალე იმის გუგებში
ღამე ჩადგება...
იცოდნენ ბარემ,

ბრალი არა აქვს ჭაბუკს ნაწამებს,
ის ყველაფერში მართალი არის,
თვით „დავაშავე“—მე შევასწავლე
მას სიყვარული სამშობლო მხარის!..

და ამისათვის ჯურღმულში გმინავს,
ვერ იხსნეს მისმა კარგმა ტოლებმაც,
მე მყავს ვაჟკაცი შობილი გმირად
და მალე იგი არ მეყოლება.

არ მეყოლება იმედი
ხვალის,
უმისოდ შთენილს, რა მეშველება,
ვის მივაშუქო იმედის თვალი
და ვინ დამმარხოს, ვისმა ხელებმა?!

მე უბედური დედა ბერძენი,
რომელსაც მერგო დარდი ულევი,
სასოწარკვეთას აღარ ვეძლევი,
რადგან ამ ქვეყნად შენ მეგულები.

ჩემს ხსნას და შველას შენღა შეიძლებ,
ვიცი, გამიგებ, რას ვდარდიანობ,
გადაარჩინე სიკვდილს ჩემი ძე,
სამართლიანო ადამიანო!..

Пролетарии всех стран, соединяйтесь!

Всесоюзная Коммунистическая Партия (больш.).

ПРАВДА

Орган Центрального Комитета и МК ВКП(б)

ლენინ-სტალინის პირმშო

ორმოცი წლის წინათ, 1912 წლის 5 მაისს, ვ. ი. ლენინის ძითითებით და ამხანაგ სტალინის ინიციატიკით პეტერბურგში გამოვიდა ყოველდღიური მასობრივი ბოლშევიკური გაზეთის — „პრავდის“ პირველი ნომერი. „პრავდის“ გამოსვლა იყო პეტერბურგის მუშების საბრძოლო ლონისძიებათა შედეგი, მათი სიმტკიცისა და შეუდრეკელობის უდიდესი აღმავლობის შედეგი.

„პრავდის“ პირველი ნომრის მოწინავე სტატიაში — „ჩვენი მიზნები“, ამ გაზეთის ფუძემდებელი ამხანაგი სტალინი წერდა: „რუსეთის მუშათა მოძრაობის გზის გაშუქება საერთაშორისო სოციალ-დემოკრატიის შუქით, მუშებს შორის სიმართლის გავრცელება მუშათა კლასის მეგობრებისა და მტრების მესახებ, მუშათა საქმის ინტერესების საგუშაგოზე დგომა—აი, რა მიზნებს მოემსახურება „პრავდა“.

გაზეთი „პრავდა“ თავიდანვე ურყევად დგას მუშათა კლასის ინტერესების საკუშაგოზე, პროლეტარული რევოლუციისა და მსოფლიო კომუნიზმის ინტერესების საგუშაგოზე.

ლენინურ-სტალინური „პრავდა“ გამოსვლის პირველი დღიდანვე წარმოადგენდა პარტიის უმძლავრეს იარაღს. მის საშედეგ, საბრძოლო რევოლუციურ დროშას, მგზნებარე პროპაგანდისტს, აგიტატორსა და დაულალავ ორგანიზატორს.

თჯითმპყრობელური რეჟიმის მძიმე პირობებში „პრავდა“ ახალი ბრძოლისათვის რაზმავდა გამოღვიძებულ მუშათა კლასს, რაზმავდა მთელი რუსეთის ხალხი ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობის ქვეშ, აღაფრთოვანებდა მათ მემამულურ ბურჟუაზიული ჩაგვრის სამუდამოდ მოსახსნელად.

გაზეთმა „პრავდამ“, იხილეს, როგორც ყველა მანამდე გამოცემულმა ბოლშევიკურმა გაზეთმა, გამოცემის პირველი დღიდანვე განიცადა განსაკუთრებული დევნა პოლიციისა და ცენზურის მხრივ. თვითი არსებობის პირველ წელს „პრავდა“ 41-ჯერ იქნა კონფისკებული, ორ წელიწადსა და სამ თვეში იგი რვაჯერ დახურა მეფის მთავრობამ. „პრავდას“ სდევნიდნენ სიმართლისათვის, მაგრამ „პრავდის“ მართალი ხმა, რომლის ჩახშობასაც პოლიცია ცდილობდა, კვლავ ახალი ძალით გაისმოდა.

ამხანაგი სტალინის უშუალო ხელმძღვანელობით „პრავდამ“ ფასდაუდებელი როლი ითამაშა ოქტომბრის რევოლუციისათვის მასების მობილიზაციისა და შეტევის ორგანიზაციის პერიოდში. ბრძოლის ამ ყველაზე ქარიშხლიან დღეებში, ყველგან— ფრონტებზე და არმიის ზურგში, ქალაქად და სოფლად გაისმოდა „პრავდის“ მოწოდება შეიარაღებული აჯანყებისაკენ ბურჟუაზიისა და კონტრრევოლუციური მთავრობის დასამხობად.

აი, რატომ არის 5 მაისი—ლენინურ-სტალინური „პრავდის“ დაბადების დღე არა მარტო ბრესის მუშაკთა დღესასწაული, არამედ მთელი ჩვენი ქვეყნის მშრომელთა საერთო დღესასწაულიც.

უსაზღვროდ დიდია ის როლი, რომელიც „პრავდამ“ შეასრულა ჩვენი პარტიისა და ჩვენი ქვეყნის ხალხთა ისტორიაში. ყველაზე მძიმე და ყველაზე სამარცხვინო პერიოდში,—სამოქალაქო ომის პერიოდში, „პრავდა“ მოუწოდებდა წითელარმიელთა პოლკებს სამშობლოს მტრების—ანტანტის იმპერიალისტური სახელმწიფოების და ქვეყნის შინაგანი რეაქციული ძალების წინააღმდეგ თავდადებული და შეუპოვარი ბრძოლისაკენ. მას შეუპოვრობა და სიმტკიცე შეჰქონდა ჩვენი ქვეყნის მშრომელებში და აღაფრთოვანებდა მათ ზურგში შრომისათვის, ოქტომბრის რევოლუციის მიერ შობილი საბჭოთა ქვეყნის განმტკიცებისათვის.

„პრავდამ“ უაღრესად თვალსაჩინო როლი შეასრულა დიადი ლენინურ-სტალინური პარტიის ერთიანობის დაცვის, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის განმტკიცებისა და განვითარების საქმეში, ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის მშენებლობის საქმეში.

სტალინური „პრავდის“ მამობილიზებელი და მაორგანიზებელი როლი კიდევ უფრო გაიზარდა საბჭოთა ხალხის დიდი სამამულო ომის მრისხანე წლებში.

გაზეთი ქადაგებდა ცხოველქყოფელი საბჭოთა პატრიოტიზმის იდეებს, აღაგზნებდა თვითეულ მებრძოლა ლენინდარული გმირობისათვის კაცობრიობის უბოროტესი მტრის, ფაშისტური გერმანიის წინააღმდეგ ბრძოლაში. მოუწოდებდა საბჭოთა ხალხს—ყველაფერი დაექვემდებარებინა ფრონტის ინტერესებისა და მტრის განადგურების ორგანიზაციის ამოცანებისათვის. „პრავდა“ კიდევ უფრო განამტკიცებდა ხალხთა დიდ მეგობრობას, აამაკრავებდა ფაშისტ დამპყრობთა საბიზღარ გეგმებს, ზრდიდა საბჭოთა კავშირის მუშათა მასებში, კოლმეურნე გლეხობაში, ხაბჭოთა ინტელიგენციაში გამარჯვების ღრმა რწმენასა და ნებისყოფას.

საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის ძლევამოსილად დამთავრების შემდეგ, 1945 წლის 23 სექტემბერს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით გაზეთი „პრავდა“ დაჯილდოებულ იქნა ლენინის ორდენით.

მშვიდობიან სამეურნეო მშენებლობაზე გადასვლასთან დაკავშირებით, დიდმა სტალინმა ჩვენს ქვეყანას დაუსახა კომუნიზმისათვის ბრძოლისა და შრომის დიადი პროგრამა. კომუნიზმის მშენებლობის სტალინური პროგრამის განხორციელებისათვის ბრძოლა გაზეთმა „პრავდამ“ თავის წმიდათა წმიდა მოვალეობად გაიხადა. „პრავდა“ ბოლშევიკური ბიჭდვითი სიტყვის ძალით რაზმავს კომუნიზმის მშენებელ დიდ საბჭოთა ხალხს ახალი

თბილისი. ბეჭდვითი სიტყვის კომბინატის საამქროში

შრომითი საგმირო საქმეებისათვის, ჩვენი სოციალისტური სამშობლოს ძლიერების შემდგომი განმტკიცებისათვის, ეკონომიური და კულტურული აყვავებისათვის, კომუნიზმის გამარჯვებისათვის.

„პრავდის“ ორმოცი წლის ისტორია განუყრელად დაკავშირებულია ბოლშევიკური პარტიის ისტორიასთან. „პრავდის“ გზა — პარტიის საქმისათვის, ლენინ—სტალინის საქმისათვის ბრძოლის გზაა. თავისი არსებობის მანძილზე „პრავდა“ დაუღალავად ეწივა მარქსიზმ-ლენინიზმის თეორიის—ამ ყველაზე მოწინავე და ერთადერთი მეცნიერული მსოფლმხედველობის პროპაგანდას

„პრავდა“ იყო და არის ყველაზე ძლიერი იარაღი, რომლის შეწყობით ჩვენი მშობლიური ლენინურ-სტალინური პარტია ყოველდღე, ყოველ საათს ელაპარაკება ჩვენი ქვეყნის მშრომელებს მისთვის გასაგები მშობლიური ენით.

ბოლშევიკური პრესა, ლენინურ-სტალინური „პრავდის“ მეთაურობით, კომუნისტური პარტიის ყოველდღიური ხელმძღვანელობით წარმოადგენს ჩვენი პარტიის „თვალსა და ხელს“.

ორმოცი წლის წინათ დიდმა ლენინმა „პრავდას“ უწოდა „პირველი მერცხალი იმ გაზაფხულისა, როცა მთელი რუსეთი დაიფარება მუშათა გაზეთების მქონე მუშათა ორგანიზაციების ქსელით“.

ასეთი რუსეთი მაშინ არ არსებობდა. ასეთი რუსეთი იშვა 1917 წლის ოქტომბერში. ჩვენმა პარტიამ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველი დღიდანვე განსაკუთრებული უურადღება მიაქცია პრესას. პრესა. ჩვენი პარტიის ეს ყველაზე ბასრი და ყველაზე ძლიერი იარაღი, — ჩვენს ქვეყანაში იზრდება არა დღეობით, არამედ საათობით.

ქართული პრესის ნარსულიდან

აუტანელ პირობებში უდგებოდათ მუშაობა პრესის მუშაკებს ძველად. უსახსრობა, კადრების სიმცირე, კარძო ბაზა ხელს უშლიდა მათ ნორმალურ მუშაობას. გაზეთის ტირაჟიც მეტად მცირე იყო — ძლივს რამდენიმე ასეულს აღწევდა. ამ მხრივ დამახასიათებელია გაზეთ „დროების“ რედაქტორის ს. მესხის წერილიდან ამონაწერი: „განსაკუთრებით სასიამოვნოა ჩემთვის ხელის მოწერილობის შემატება: ეხლა თითქმის 400-მდეა და წლის დამლევს იმედი მაქვს 500-მდე მაინც ავა. ამაზე მეტი რა გინდა?“.

იგი აღფრთოვანებულია ასეთი „წარმატებით“, მაგრამ იმავე წერილის შემდგომი ამონაწერი ფრთას უკვეცავს მის აღფრთოვანებას.

რედაქტორი დამშუხრებულია იმით რომ „№ 131 შაბათს მზად იყო. მაგრამ ჯერაც არ დაბეჭდილა და ქალაქ გარეთ არსად არ გაგიგზავნია, რადგან იმდენი ფული ვერ ვიშოვე, რომ ქაღალდი მეყიდნა (თითო ნომერს 4 მანეთის ქაღალდი უნდება)“.

მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დროს წიგნი და ჟურნალ-გაზეთი მისაწვდომი გახდა ფართო მასებისათვის. ბიბლიოთეკებითა და ქოხსამკითხველოებით დაიქსელა საქართველოს ქალაქები და სოფლები. არნახულად გაიზარდა წიგნებისა და პერიოდული გამოცემების ტირაჟი. მარტო გაზეთ „კომუნისტის“ ტირაჟმა უკვე რამდენიმე ათეულ ათასს გადააჭარბა.

1951 წელს რესპუბლიკაში გამოცემულ იქნა 1270 სახელწოდებას წიგნი 7 მილიონი ტირაჟით, დიდად გაიზარდა მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსების, მხატვრული და სამეცნიერო-ტექნიკური წიგნების ტირაჟები.

გასულ წელს ჟურნალ-გაზეთების საერთო ტირაჟმა 19.558.000 ცალს მიაღწია.



კომბინატ „კომუნისტის“ სამბეჭდო-საოტატაციო

← საამქროში

ფოტო ვლ. გინზბურგისა

თედო

ბორის ჩხეიძე

ივლისის ერთ სიცხიან საღამოს ლილოში, გიორგი თედელურის სახლის აივანზე გამართულ დიდ თათბირს სულ ცხრა სული ესწრებოდა. პირველი თვითონ გიორგი თედელური იყო. კოლმეურნეობის მეჭირნახულე ბრიგადირი. მეორე, გიორგის მეუღლე იეთარი, მესამე კი მათი უფროსი გასათხოვარი ქალი ვერიკო. იგი გარინდული იჯდა თავისთვის ტახტის მახლობლად, რადგანაც ეს თათბირი სწორედ მას შეეხებოდა. თათბირის დანარჩენი ექვსი მონაწილე, მართალია, ესწრებოდნენ დიდმნიშვნელოვან მოლაპარაკებას, მაგრამ გადამწყვეტი ხმის უფლებით კი არა, სათათბიროთიც არ სარგებლობდნენ. ისინი არც თუ ისე ძალიან იბრძოდნენ თავიანთ უფლებებისათვის, რადგანაც ყველაზე უფროსი — ლეო მეთოთხმეტე წელში გადამდგარიყო თიბათვის დამდეგს, ხოლო მეექვსეს, ყველაზე უმცროსს ჯერ ორი წელიწადიც არ შესრულებოდა. ექვსივეს ძალიან უჭირდა მიხვედრა, თუ რად ეხვეწებოდა დედა გიორგის, ნება დაერთო ვერიკოსთვის ცოლად გაჰყოლოდა სამგორის არხის მშენებლობის გამოჩენილ მებულდოზერეს. ბავშვები კიდევ უფრო ვერ მიმხვდარიყვნენ ვერიკოს დუმილის მიზეზს. თუ მას გათხოვება აგრე ძალიან ეწადა, როგორც ამას დედა შვილის მაგიერად მამას უმტკიცებდა, მაშ, რატომ თვითონაც არ ეხვეწებოდა? მამას ხომ შვილებში ყველას ერჩია ვერიკო. ყველაფერს უსრულებდა, თვალის ჩინვით უფრთხილდებოდა. მაშ რად არ დართავდა ნებას? ყველაზე ძალიან ლეო დაინტერესა ამ გარემოებამ. ბიჭუნა დაძაბულად ფიქრობდა. ცდილობდა ჩასწვდენოდა მამის სიჯიუტის მიზეზს.

მაინც რად იყო მამა წინააღმდეგი? ლეოს შეხედულებით, უჯარმელ მებულდოზერე თედო ონიკაშვილს სამგორის მთელ მშენებლობაზე კაციც ვერ შეედრებოდა. ამის დასამტკიცებლად ლეოს მრავალი საბუთი მოეპოვებოდა. თედო არ უშლიდა ლეოს ბულდოზერთან — იმ დევის არნადიან ტრაქტორთან მიახლოებას, ხშირად, მუშაობის დროს, გვერდითაც მოისვამდა ხოლმე, სიამოვნებით სარგებლობდა მისი დახმარებით, როცა არნადიან ტრაქტორს არემონტებდა. ლეო ხან ხელსაწყოს მიაწოდებდა, ხან თუნუქის კასრით საპოხს მიურბენინებდა, ხან ხელების დასაბანად წყალს დაუსხამდა. ამიტომაც მამის უარი, ვერიკოს თედოს ვერ მივათხოვებო, ლეომ მხოლოდ მაშინ მიიჩნია დამაჯერებლად, როცა მამამ დედას დამარცვლულად განუცხადა ერთხელ და საბოლოოდ:

— ვერა, იეთარ, ვერა! ჩემი ცოცხალი თავით მე მაგის ნებას ვერ დავრთავ ვერიკოს. ქალი მივათხოვო და ვის! ჩემი შემარცხვენელი მტრის შვილსა, ჰა?! გომბორსა და თბილისს შუა თავი მომჭრა თავმომწონე ვაჟკაცს. დღემდე ვერ გამინელებია გულს მოდებული სირცხვილის ალი. ფრანციცული ხერხით დამიჯაბნა განთქმული მოჭიდავე, თორმე ქალაქში ესწავლა უჩუმრად ეგ ხერხი, ესეო და გიორგს გავუსწორდეო, თორემ ჩემი ხელის დამრევი კაცი საქართველოში სანდრო კანდელაკის მეტი არავინ იყო. გამლახა და როგორ გამლახა! დამდო მინდორზე, გულზე ხელები დამიკრიბა, ზედ მუხლი დამაჭირა და...

იეთარს აღარა ეთქმოდა რა, რადგან კარგად იცოდა ქმრის ახალგაზრდობისას მომხდარი ეს შემთხვევა. თვითონაც ესწრებოდა იმ ჭიდაობას. მართლაც უდიერად მოექცა იორამი გიორგის. დასცა და დასჭყიტა:

— ეგეც შენ, ლილოელო თედელურო!

ამ ამბის გამგონი ლეო პირველად აივსო იორამისადმი მტრობით, სულითა და გულით მიემხრო მამას. გადასწყვიტა თავის გულში: იმ კაცს, რომლის მამამაც ლეოს მამა დასცა ფრანციცული ხერხით, მკერდზე ხელებიც დაუკრიბა, ზედ მუხლი დააჭირა და დასჭყიტა კიდევაც, ახლოსაც აღარ გაჰკარებოდა.

— ეგ არის შენი უკანასკნელი სიტყვა? — ჰკითხა იეთარმა ქმარს.

— ეგ არის! — თქვა გიორგიმ და მოულოდნელად მიმართა ვერიკოს:—შენ კი რაღასა ფიქრობ? ჩვენკენ, თუ ჩემი მტრისაკენ?

— თქვენი უნებური, მამილო, მე არა მინდა რა. — მიუგო გიორგის ვერიკომ და თათბირიც ამით დამთავრდა. ბავშვები სათითაოდ გრძელ ტახტზე გაშლილ ლოგინებზე წამოწვნენ. ვიდრე დაწვებოდნენ გიორგიმ და იეთარმა სახლ-კარი შემოიარეს და როცა შინ შევიდნენ გვერდის ოთახში წამოწოლილი, ბალიშში თავჩარგული ვერიკო შენიშნეს. ვერიკოს არ ეძინა. სლუკუნებდა.

— კაცო, ცოდოს ვეშვრებით. — უკანასკნელად სცადა იეთარმა ქმრის გულის მოლბობა.

— რას ამბობ, დედაკაცო! — შეუტია გიორგიმ ცოლს. — მე, გიორგი თედელურმა იორამ ონიკაშვილი ჩემს სახლში მზახლად ზემო თაროზე წამოვჭიმო?! მაგას ვერ ვიქმ, თუნდაც ჯოჯოხეთი მომელოდეს!

იეთარმა ამის შემდეგ ქმარს ხმა აღარ გასცა. ვერიკოსთან შევიდა, იქ შვილს საწოლზე ჩამოუჯდა. გულმოკლული გიორგი კი აივანზე გაშლილ თექაზე წამოწვა და ჩქარა უდარდელი ხვრინვა მორთო.

* * *

დიდი არხის სათავის პირველი რიგის ნაგებობათა გამოცდა მიმდინარეობდა. ახალი ამბავი ახალ ამბავს ენაცვლებოდა. სტუმრებს და რადიოს სარწმუნო ცნობები მოჰქონდათ, რომელმა ნაგებობამ გამოცდა როგორ ჩააბარა, ან სად რა ახალი სამუშაო წამოიწყეს.

არხის მშენებელმა მუშებმა ისედაც კარგად იცოდნენ, რომ საქმე ცუდად არ იყო. რამდენიმე ასეული მეტრი ფხრილიღა დარჩა ბეტონით ამოსაგები და ზედა მაგისტრალური არხის ბოლო მლაშე ტბებს მიაღწევდა. ეს ღრმა ტაფობი ის ქვაბი იყო, რომელიც ქვედა მაგისტრალურ არხს წყლით მოამარაგებდა. ქვაბ-ტაფობის თვალუწვდენი სიგრძე-სიგანე არხის მშენებლებს საფუძველს აძლევდა, რომ ეთქვათ: აი აქ იღლვებს ჩვენი საცდელითი შექმნილი პატარა ზღვაო. დიდი ხნის შრომის ასეთ შედეგს მშენებლებში სიამაყისა და ბავშვური აღტაცების გრძნობა შთაენერგა.

მაგისტრალური არხით ტაფობში წყლის მოსვლას თედო ონიკაშვილი გულის ფანცქალით მოელოდა. „ტაფობში წყლის მიღების დღემდე მეც მოვასწრებ ჩემი შინაური საქმეების მოგვარებასო“. — დაჰპირდა ის ლილოელ მწვეველს, თედელურის ქალს, ვერიკოს.

საერთო საცხოვრებლის მახლობლად, მებულდოზერეს მუდმივ საცხოვრებლად ოროთახიანი ბინა მისცეს. მან თუჯის ღუმელი დიდი ხანია გამართა, მავთულის ბადიანი ორი საწოლიც შეიძინა. ზედ უბნის სავჭრო წერტში ნაყიდი ლეიბსაბანი გაშალა და, რადგანაც ბალიშები ვერსად იშოვა, სასთუმლად ტაოტით გამურული წიგნები დაალაგა. სამშენებლო უბნის მცხოვრებნი ამჩნევდნენ მებულდოზერეს სამზადისს, ეკითხებოდნენ:

— მეორე საწოლი რად გინდა?

— ვინ იცის როგორ დამჭირდეს! — ეუბნებოდა თედო მათ.

ქვეყანაზე ერთადერთი ადამიანი იყო, ვისაც ნამდვილად ეტყოდა თედო, თუ რა დანიშნულება ჰქონდა ამ მეორე საწოლს. ის ადამიანი გიორგი თედელურის ქალი ვერიკო იყო. როცა თედომ ქალაქიდან ღუმელი მოატანა და გამართა, მაშინ გამოუტყდა კიდევაც ქალს: შენ ოღონდ გადასწყვიტე. გაბედეო, ჩემ ბინაში ყველაფერი მზადა მაქვს. ერთი ჩიტის რძე მაკლია და ისიც მექნება. განა მე და შენ ამ ლაჟვარდოვან ცის ქვეშ რომელი ჩიტები გვჯობიანო. და აი, როგორ შეტრიალდა ბედის წისქვილი! დღე-დღეზე მშენებლები ტაფობში წყლის მოსვლას მოელიან, მაგრამ...

დილით ლეო მოვიდა ლილოდან. იბღვირებოდა. მგლის ლეკვივით თვალებს უნდობლად აბრიალებდა. ბულდოზერს ზედაც არ შეხედა. მიუსალმებლად ვერიოს წერილი მიაჩეჩა ხელში და შინისაკენ გაბრუნდა. წერილით გაგებულმა ამბავმა მებულდოზერე დაადმარა. მანქანამდე ბანდალ ბანდალით მივიდა. ძლივს დასძრა იგი ადგილიდან. სანამ სამუშაო ადგილამდე მივიდოდა, ხან საჭე გაუვარდა ხელიდან, ხან სიჩქარე ვეღარ მოზომა, კინაღამ თხრილში ჩაუვარდა მანქანა.

სამუშაოს დაწყების წინ ამხანაგები: მებულდოზერეები, მეგრეიდერეები და მეკომპრესორეები მთის ძირას შეგროვილიყვნენ. მშენებლობის უფროსი ინჟინერიც იქ იყო. ის მუშებს მთაზე უჩვენებდა, ეუბნებოდა: აი, ეს მთა, რაღაც ერთი თვის განმავლობაში აქედან უნდა დავსძრათ, იქ, მეორე მხარეს დავყაროთ ზღვის ნაპირის შესამაღლებლადო. თედო დამხდურებს შეერია. გაჩაღებულმა საქმიანმა საუბარმა ნაღველი გაუნახევრა. უბნის უფროსის მიერ დასახული ამოცანა გონებაში გაივარაუდა. მთის დანგრევა? — არაფერი! ახალ ადგილას გადაზიდვა როგორღა მოხდება? თვითმცლელებით?—ძნელია! საქმე კი შესასრულებელი, გასაკეთებელია. მოვერევით? —მოვერევით! მოვერევით, მაგრამ როგორ? საიდან მივადგებით მთას დასანგრევად, სად დადგებიან დამტვირთავი მექანიზმები? და დამტვირთავი მექანიზმების დასადგომ ადგილების შესარჩევად ნაყარი მიწის ბორცვზე ავიდა. იქ სხვა მექანიკოსებიც იდგნენ. დასანგრევ მთას გასცქეროდნენ, ხმაურობდნენ, ძიძგილაობდნენ, მზისა და ქარისაგან ნაცრად ქცეულ მიწაში კოჭებამდე ეფლობოდნენ. თედომ ხელი დაავლო ერთ ამხანაგს, დაეჭიდა. სარმა გამოსდო, ის იყო დადო მიწაზე და მსწრაფლ წამოაყენა. გონებაში გაურბინა, ნეტავ ჭიდაობა მამაჩემ იორამსაც არ სცოდნოდაო. და ხელი მოისვა ჯიბეზე, ვერიკოს წერილი ხომ არ ამომვარდნიაო. ამ ძიძგილში მექანიკოსებს ვერ შეენიშნა სამუშაოთა მექანიზაციის უფროსი ინჟინრის დავით ქობულაშვილის მოსვლა. ახოვანი, შავ წარბებშეკრული ინჟინერი ვიღაც უცხოსთან ერთად, დასანგრევ მთის ძირის ცოტა მოშორებით იდგნენ.

— ღონე თუ გერჩით, ამ მთას რომ მიგაყენებთ, მაშინ გამოჩნდებაო! — მოაძახა ქობულაშვილმა მექანიკოსებს. მერე თავი დახარა, აშქერილ წარბებ ქვემოდან გამოხედა ბიჭებს, თედოს თვალი თვალში გაუყარა, სული კბილების მწკრივი გამოაჩინა.

— საქმე კარგადაა, ბიჭებო! — შემოჰკრა ხელი ხელს თედომ.

— საიდან დაასკვენი? — იკითხეს აქეთ-იქიდან.

— მე, ძმებო, ჩემი დანაცადი ნიშნეულობა მაქვს. — მიუგო ამხანაგებს თედომ. როცა დავითი გაიღიმებს, ვიცი, კარგი ამბავი აქვს გასამხელი. თუ დღესაც ასე არ გამოდგეს, ეს თავი კისერში გამაგდებინეთ!

მექანიკოსები ცხელ მიწაზე ჩამოსხდნენ. თედომ კიდევ შეხედა ქობულაშვილს, მოაგონდა შორეული რუსეთი, კალინინის ფრონტი, სადაც პირველად დასცადა მისი ღიმილი. კაპიტან ქობულაშვილს ბრძოლაში შეუხელებული ნაწილის შევსება მიუვიდა. ამ შევსების ერთ-ერთ მებრძოლს თედო ონიკაშვილი ერქვა.

— რა იცი, რა შეგიძლია? — ჰკითხა კაპიტანმა თედოს.

— ყველაფერი, ამხანაგო კაპიტანო!

— მაინც?

— ყოველგვარი საბრძოლო იარაღის ხმარება, იმათი დაშლა-აწყობა. ყოველგვარი მანქანის მართვა და კიდევ: დაზვერვა, შეტევა, მტრისათვის ჭამის მადის წართმევა და სისხლის გაშრობა.

— თუ ასეა, მარჯვე კაცი ყოფილხარ, ონიკაშვილო. მე და შენ ამაღამვე დაზვერვაზე გავსწევთ, იქ გნახავ რა ბიჭიც ხარ!

— მზად ვარ, ამხანაგო კაპიტანო! — უთხრა თედომ.

უფროსი თავით ბოლომდე შეათვალიერა. კაპიტანმა უეცრად მოიხედა. შეხედა რა რომ ახლად მოსული მებრძოლი ათვალიერებდა, გაუღიმა და უბრძანა მიწურში ჩასულიყო.

თედოს სხვა მოგონებებიც წამოეწივნენ.

დავითთან ერთად მოსული უცნობი სამჭართველოსკენ გაეშურა. დავითი კი მექანიკოსებთან მივიდა. ისინი ფეხზე წამოუდგნენ ინჟინერს.

— ვაჟია, თუ ქალი? — მიაგება თედომ კითხვა უფროსს.

— ვაჟი, ბიჭებო, ვაჟი! — თქვა ქობულაშვილმა. — თუმცა... რაზე მეკითხებით?

— რაზე? — გაიოცა თედომ. გგონიათ, ის მთა თქვენზე ნაკლებ მაქვს ყელში ძვალივით გაჩხერილი? აკი გვითხრეს აიღეთ, გადადგით, თვალებში გვეჩხირებაო.

— მაშ! — კვლავ გაეღიმა დავითს. — სწორი მითქვამს, ვაჟია-მეთქი!

— რა მიიღეთ, ბულდოზერები? თვითმცლელები? — გაისმა მოუთმენელი კითხვები და მექანიკოსებმა ინჟინერს წრე შემოავლეს.

— არც ერთი და არც მეორე. ვერ გამოიცანით!

— აბა რაღაის ვაჟი! — ჩაიქნია ხელი თედომ.

— სკრეპერი რომ იყოს მოსული, ვითომ ვაჟი არ იქნებოდა? — ჩაილაპარაკა დავითმა. წამით სიჩუმე ჩამოვარდა. მექანიკოსები ცდილობდნენ უნახავად წარმოედგინათ ახალი მანქანა, რომლის სახელიც ეს-ეს არის ახსენა მექანიზაციის უფროსმა.

სიჩუმე თედომ დაარღვია:

— სკრეპერი? ვიცი... მგონია, ჩვენში იგი ჯერ არსად უნდა იყოს. რუსეთში კი დიდი ხანია გამოსცადეს, კარგადაც მუშაობს. ამის შესახებ მე გაზეთებში ბევრი რამე წამიკითხავს. ახლა, ჩანს, ჩვენც გვექნება.

— წაგიკითხავს? — სიტყვა ჩამოართვა ქობულაშვილმა. — მაშასადამე, დილით „სკრეპერი“ ბაქნიდანაც შენ მიიღე. მიიღე და მართე, ამუშავე, გაგიმარჯოს. პირველი მესკრეპერეც შენ იყავი საქართველოში. უთხრა მებულდოზერეს ქობულაშვილმა და განაგრძო. — რაც შეეხება პირველი დღეების სიძნელეს, ათვისებას, — მანქანას მასწავლებელიც თან მოსდევს.

— მე! მე! სკრეპერზე, ახალ მანქანაზე! — გაიხარა თედომ. — მზადა ვარ, მზად! თუ კი ადამიანის გონების მოგონილია ეგ მანქანა, ისეთი რა იქნება, რომ ვერ შევეჩვიო! ტანკზე რთული მექანიზმი ხომ არ ექნება!

— ასე! — თქვა ქობულაშვილმა და თავის კანტორისაკენ გაეშურა.

ბულდოზერი თანაშემწეს გადააბარა და ბინაში შევიდა, საჩქაროდ ტანთ გამოიცვალა, ბაჯვარედინზე გავიდა. გზად გამვლელ თვითმცლელს შეახტა ლილოსაკენ გზის გასამოკლებლად. ჩქარა გორაკის იქით დარჩენილი სამშენებლო უბანი თვალით აღარ მოჩანდა. მანქანა დიდი სიცხითა და ქარით ამოდაგულ ტრიალ მინდორს გაეკრა. თედო გარშემო არ იხედებოდა, თვალის გასახარელი არა იყო რა. კოლმეურნეობებს ყანები დიდი ხანია მოემკოთ. აქა-იქ, ღარტაფებში დათესილი სიმინდი მიწას არ ეტყობოდა. ნათესს ვერ გაეძლო უწყლობისათვის, გვალვას ნიათი გამოეცალა, ჩაეკრო, ქუჩუჩოების ამოღებაც არ დასცლოდა. ისე დაესიცხა, ისე გაეხმო, რომ საქონლის საკვებ სასილოსედაც აღარ ვარგოდა. მერმე როგორ მიწაზე? — შავ ქერქს რომ რვა მტკაველი სისქე აქვს. სიმინდის ამ დღეში დანახვამ თედოს სადარდელი მიუმატა. გულზე რაღაც ლოდივით დააწვა.

ცუდი ამბავი ვერიკოსაგან, აქ ეს სიცხისაგან პირგამშრალი სულმღაფავი მინდორი, სიცოცხლე რომ არა ჩანს ზედ, იქ ერთი ადგილიდან მეორე ადგილას გადასატანი მთა, ახალი მანქანის ათვისება. როგორ გაუძლოს კაცმა ასე მოძალებულ საქმეს, რამდენ ერთ საზრუნავს გაართვას თავი თედომ? კიდევ კარგი გზა დაილია. აგერ — ლილოც. შოფერმა სვლას უკლო, დაამუხრუჭა.

თედომ ძარას ძგიდეს ხელი მოავლო, მანქანას გადაევლო და მძიმე ჩექმებით ზედ ვერიკოს ჭიშკრის მახლობლად, მოასფალტებულზე დახტა. ვერიკოს, ალბათ, თვალი გზისკენ ეჭირა. სახლის კარი გაიღო, ის და იეთარი ერთად გამოვიდნენ. მებულდოზერეს ჭიშკრის გარეთ შეხვდნენ.

— ჩემ გაჩენამდე მამაჩემს მამაშენი ჭიდაობაში გაულახავს, ვერიკო! მერე და რა ასეთი დიდი ცოდო დატრიალებულა? ამისთვის გულიდან რად უნდა მომიწყვიტოთ?! — უსაყვედურა ქალებს თედომ იმ ანგარიშით, რომ პასუხი ვერიკოს გაეცა. მაგრამ იეთარმა დაასწრო:

— მე, შვილო, მე, ჩემის მხრივ... საწინააღმდეგო არა მაქვს რა. ეგ არის, კაცი ვერ გავტეხეთ და აბა, რა გამეწყობა! ვცდილობთ კი. მაგრამ რა გამოვა, წინასწარ თქმა ძნელია.

— ახლა შენ იცი, როგორც მეტყვი, მეც ისე მოვიქცევი! — უთხრა ვერიკომ და ცალი თვალით რომ მანქანას გახედა, მეორე თედოს ჩაუკრა. — აბა, დავსხდეთ, ქვეყნის დასასრულამდე შენთან ვივლიო.

— გასაქცევი, საქურდალი, მოსატაცი არ მჭირდება. — განრისხდა თედო. — თუმცა, ჩანს, მეტი გზა არ დაგვრჩენია, ვერიკო! აგერა მანქანა, დაჯექ, წავიდეთ, აკი გითხარი ყველაფერი მაქვს-მეთქი. მეტის მოცდაც აღარ შემიძლია. ათასი საქმე მაწევს კისერზე. დღეს ახალი მანქანაც მომცა დავითმა. ხვალ დილით ბაქნიდან სამუშაოზე უნდა გადმოვიტანო. სკრეპერი ჰქვია სახელად. მერე და როგორი მანქანაა! თვითონ თხრის ნიადაგს, თვითონ ატვირთავს ძარას, თვითონ გადააქვს, თვითონ იცლება. ერთ დაძვრაზე ოცი თვითმცლელის ტვირთს ეწევა. მანქანა კი არა ნატვრის თვალია.

— როგორი მანქანაა? რომელ მანქანას ჰგავს? დიდია? — იკითხა ვერიკომ.

— ჯერ არც მე მინახავს. ინჟინერმა გამომიცხადა: — წადი, მიიღე, დაჯექ, ამუშავე, გაგიმარჯოსო. — მეტი არა ვიცი რა.

— რომელმა ინჟინერმა?

— თქვენმა მდგმურმა, დავით ქობულაშვილმა.

— თედო! — თითქმის შეჰკივლა ვერიკომ. თან სიხარულით აღტაცებული ადგილზე ისე უხერხულად შეხტა, რომ თედოს მკლავებმა გადაარჩინეს წაქცევისაგან. — თედო, თუ იკისრებს დავითი, მამას მიუგზავნე. დედა ჩვენს მხარეზეა, ჩემი ყველა და-ძმაც. მიუგზავნე და, თუ თანხმობას მოგვიტანს, ბარემღა ნათლიადაც ის იყოს.

— და თუ მაინც არ მოგცა თანხმობა?

— მაშინ აკი გითხარი, ისე ვიქმ, როგორც შენ მეტყვი! — კვლავ დაუდასტურა ვერიკომ თედოს თავისი ადრევე მიღებული გადაწყვეტილება.

როგორ გააღწია თედომ მეორე დღის განთიადამდე, ძნელი სათქმელია. გულის გადასაყოლებლად ხან ერთ უბანზე მივიდოდა, ხან მეორეზე. ბარემ ათჯერ შეხვდა ქობულაშვილს. გააღებდა პირს, დაუპირებდა თქმას, აბა მიშველე, გიორგი თედელურთან მოციქულად მიმეგზავნეო, მაგრამ ენა ებმებოდა. ბაქანზე ყველაზე ადრე გამოცხადდა. მანქანის გამცილებელ მექანიკოსს გადმოტვირთვის მომზადებაში უშველა. როცა დავითიც მოვიდა, ფრთხილად დასძრეს სკრეპერი და ძირს გადმოიტანეს. აქ რუსმა ოსტატმა თედო გვერდით მოისვა.

— Смотри, простая, но мощная советская машина. Чем лучше научишься управлять ею, тем счастливее будешь, — უთხრა და სკრეპერი გზაზე გამოიყვანეს. როცა დიდ ველებზე გამოვიდნენ, რუსმა ოსტატმა თედო თავის ადგილას გადასვა. ხელში საჭე მისცა და კიდევ უთხრა:

— Дальше сам управляй!

თედომ ფრთხილად დასძრა მანქანა. ნელ-ნელა უმატებდა სვლას. ორი თუ სამი კილომეტრის გავლის შემდეგ, უკვე თამამად მიჰყავდა, რუსი ოსტატის ქებაც კი დაიმსახურა.

— Так... так... так...

სკრეპერს კვალდაკვალ მსუბუქი მანქანით დავითი მოჰყვებოდა. ორხევში მცირე ხნით შეისვენეს. აქ გზა სამუშაო უბნისაკენ უხვევდა. თედო გადმოვიდა. სიცხისაგან გახურებული ქოჩორი გადაივარცხნა, შუბლიდან ოფლიც გადაიწმინდა ცხვირსახოცით და დავითს მიუახლოვდა. უბიდან ვერიკოს წერილი ამოიღო, მისცა. დავითმა წერილი ჩაიკითხა. გაოცებულად ჰკითხა თედოს:

— ეს ვინ ვერიკო არის?!

— შენი სახლის პატრონის ქალი.

— გიორგი თედელურისა?

— ჰო, იმისი. მე კი ჩემი დამმართა და...

— ხელს რაღა გიშლით?

— ჩემი და იმ ვერიკოს გაჩენამდე მამაჩემს — იორამს, ვერიკოს მამა — გიორგი გაულახავს ჭიდაობაში.

— ძველი ნაწყენობა ჰა! — საწუხრის გაზიარებით თქვა დავითმა.

— ჰო, ძველი ნაწყენობა.

— მერე და მე რა გიშველოთ?

— ისა რომ... კაპიტანო, შენ უნდა დამეხმარო. მიდი გიორგისთან, სიტყვა დამახარჯე. თორემ აბა ვერიკოს ეგ პასუხი რად მინდა, რად მარგებს. დაიწინა-

ურე, სანამ ჩვენც სკრეპერს ლილომდე ამოვიტანთ პასუხი დამახვედრე. ან ავი, ან კარგი.

— იორამი რაღას ფიქრობს ამ დანათესავებაზე?

— ერთი სული აქვს სანამ გიორგის თავის სახლში დაინახავდეს.

დავითმა მანქანა დააწინაურა. სკრეპერმაც განაგრძო თავისი ნელი გრგვინვით ბობღვა. აღარ დაილია მინდორი. ერთი საათის გასავლელი გზის გავლას სკრეპერი ერთი საუკუნე უნდებაო, — ეჩვენებოდა თედოს. მზე ცის გუმბათის შუაგულში ამოგორებულიყო, როცა თედელურის სახლამდე მიაღწიეს. თედოს გული შეეკუმშა. გიორგის სახლიდან ჩამიჩუმი არ ისმოდა. არც არავინ ჩანდა ეზოში. შევცდიო, გაიფიქრა. აბა ამ დროს კოლმეურნეობის ბრიგადირს შინ რა მოაცდევინებდაო.

აგერ მეორე შესახვევიც. აქედან გზა სამშენებლო უბნისაკენ მიემართება. სადაცაა გიორგი თედელურის სახლი აღარ გამოჩნდება. თედო უკან იხედება. იქნება მოსძახის ვინმე, ან ხელს უქნევს, ან მოსდევს მანქანას. სამშენებლო უბნამდე სულ ცოტაღა დარჩა. სკრეპერი ნელა მიბობღავს. ღრმა ღარტაფში ჩაეშვა და ჩაეფარა. შეღმართის ავლისას მოსწვდა მხოლოდ დავით ქობულაშვილის მანქანა. სად იყო იქამდე ინჟინერი? იქნება გიორგი თედელური სადმე ყანებში ეძება? ინჟინერს თვალი თვალში გაუყრია. საჭეს პირქუშად ჩაჰფრენია. თვალებით მხოლოდ გზას გასცქერის. ენა მუცელში ჩავარდნია. არც ავს ეუბნება თედოს, არც კარგს, დუმს. იმ დღეს კი არა, იმ თვეშიაც არა უთხრა რა. ბოლოს ძლივას გაიგო თედომ, რომ დავითმა რაღაც მიზეზის გამო თედელურის სახლი მიატოვა, ლილოს მეორე მხარეს დაიქირავა უარესი ბინა, უფრო ძვირად.

* * *

კარგია ბევრი სამუშაო. კაცი დროს ისე გაიყვან, რომ სადარდელი ვერას დაგაკლებს. თედოსაც ბევრი საქმე აქვს. სკრეპერზე მუშაობას ეჩვევა. დაშლა-აწყობაში შველის რუს მექანიკოსს. მანქანის მართვის წესებს, მსხვილი ასოებით თეთრ ქაღალდზე დაბეჭდილს იზეპირებს, თანაშემწეებსაც უთარგმნის. ერთსა და იმავ დროს მოსწავლეც არის, თარჯიმანიც და მასწავლებელიც. მთის მონგრევა, შესამაღლებელი ნაპირის ხრამის ამოვსება, სექტემბრის ბოლოს გრაფიკში ჩასვეს ინჟინრებმა. სათავიდან ზემო მაგისტრალურ არხში წყლის გამოშვების ვადამდეც ცალი ხელის თითებზე ჩამოსათვლელი კვირეები დარჩა. შესრულებულ სამუშაოთა შემმოწმებელმა კომისიებმაც დაუხშირეს მოსკოვიდან, თბილისიდან... კოლმეურნეობების „კომისიებიც“ გაჩნდნენ. დასუქებული ცხენებით მოდიან, სამშენებლო უბნის კანტორასთან ბოქებზე მიაბამენ. მერე ნელ-ნელა ნაბიჯით, მასლაათით სამუშაო ადგილებამდე ამოდიან. სექტემბრის ბოლოს, ერთი კაცის თანხლებით ლილოს კოლმეურნეობის თავმჯდომარეც მოვიდა. ისინიც ცხენებზე ისხდნენ. თედოს თავმჯდომარესათვის არც შეუხედავს. იმისი ყურადღება მეორემ მიიპყრო. ხალათზე და ჯარისკაცულ ჩექმებზე რომ ზემოდან ჩოხა გადაუცვამს, კეფაზედაც თუშური ქუდი თავმომწონედ მოუგდია, — ბრიგადირი გიორგი თედელურია. იცის, მიხვდა თედო კიდევაც რა საქმისათვისაც გარჯილან თავმჯდომარე და ბრიგადირი. სანამ არხით მოსული წყალი საგუბარში ჩავა, ზემო მაგისტრალურ არხს ბეტონის ტოტი გამოეყოფა. ამ ტოტმა უნდა თავისი გზა ლილოს საყანეებზე გადაიაროს, სადგისას მთის მწვერვალზე აგებულ განმანაწილებელს მიაღწიოს. ეს საყანეები კოლმეურნეობას გაპიროვნებული აქვს გიორგი თედელურის ბრიგადისათვის. სადგისას მთის არხი თითქმის მზადაა. ერთ ადგილას არის მხოლოდ ხელუხლები. ეს ადგილი კი მაშინ იქნება მზად, როცა თედო მთას დაანგრევს, გადაზიდავს, დატკეპნის, ნაპირს ასწევს. მერე ამ ნაყარ მიწაზე მებეტონეები წყლის გასავლელ კალაპოტს გაავლებენ.

— ჰმ!.. ჰმ!.. დაგჭირდით! — ამბობს თედო. — ეგეც თქვენ, ლილოელებს. ვნახოთ როგორ არ გამატანთ ქალს. ხომ არ გნებავთ ფეხქვეშ ხალიჩასავით გაგეგოთ! აბა, მოყვრები ყოფილიკავით! მაშინ ნახავდით სიძის მარიფათს. სუფრას გაგიშლიდით— ზედ ბულბულები ჩამოსხდებოდნენ. ახლა... ახია თქვენ თავზე, პურუჭმელი მიბრძანდით თქვენ ლილოში.

დღეს თედო რუს მასწავლებელს აცილებს თავის სამშობლო ქალაქში. წუხელის იორამიც მოვიდა შვილის სანახავად უჯარმიდან. სამუშაოს რომ დაამთავრებენ, სუფრას მიუჯდებიან მიმავლის გზის დასალოცად, დამრჩომთა მკლავის ძალის სადღეგრძელოდ. და ხედავს თედო ონიკაშვილი: გიორგი თედელურმა დასანგრევი მთისაკენ გაუხვია, იმ მთისაკენ, რომელსაც ეს რამდენიმე დღეა თედომ კავროვეც-ექსკავატორების ალეული, ბულდოზერების ოცეული, თვითმცლელი მანქანების ასეული მოუსია, გარშემოუწყო. ამ ტექნიკას სათავეში თვითონ უდგას თავისი სკრეპერით.

აი, ვინ არის თედო ონიკაშვილი. იჩქარეთ ლილოელებო, კარგად გასინჯეთ, ნახეთ, გაიცანით, თორემ ვინ იცის ვინ წააგებს.

გიორგი თედელურმა მშიშარა ბალღივით მოშორებით ჩაიარა მექანიზმების ფოლადის წკრიალსა, გადამუშავებულ ნავთობის ნისლსა და ძრავების დგანდგარში, მთას უკანიდან შემოუარა, წამით მწვერვალზე გამოჩნდა და კალთით ძირს დაეშვა. იმ ადგილს მიაშურა, სადაც ჩოხა შემოკალთული იორამი ძეძვის ძირად ჩამჯდარა და მანქანების ბარაქიან შრომას გაოცებით დაჰყურებს. ალბათ, არც იცის გიორგიმ, რომ „მტერს“ პირისპირ შეეჩეხება. ეს სასეირო სანახავიცაა. ნახავს თედო როგორ შეხვდებიან ერთმანეთს ძველი მოქიშპენი. რამდენიმეღა ნაბიჯი დარჩა გასავლელი გიორგის იორამამდე. ხელის ჩამორთმევის მანძილით ზედ მიადგა კიდევაც. თედომ საჭეს მოსწია, პედალებს ფეხები დააჭირა, დასძრა სკრეპერი, მთის ძირს დააჯახა. ასი სანტიმეტრის სიგრძის, მანქანის დინგში დატანებული ფოლადის ეშვები გულ-გვამში შეუყარა. მერე კვლავ მოსწია მანქანა. რკინის დვირეების ოდენა მკლავები ააყირავა, კამეჩის ხუთასი ურმის სამყოფი ტვირთი თავზე გადავლებით ძირში ჩაიყარა. დაიძრა და ზანზარით გასწია დასაცლელ ადგილისაკენ. თითქოს ქვემოდან პლუტონმა უბიძგაო, მთა შეიძრა. იორამმა და გიორგიმ ადგილი იცვალეს. ცოტა აკლდა შვავს თან არ ჩაჰყვნენ. სანამ მტვრის და საწვავის აირების ერთმანეთში არეული ბორიაყი გაიფანტებოდა, თედომ სკრეპერი ისევ დააჯახა მთას. მაგრამ ჩქარა მანქანიდან გადმოხტა, აქ ხნიერები ხელმეორედაც არ წაიკიდნინო. და რომ მოქიშპეებთან იმის მიჭრას ჯეროვანი შთაბეჭდილება მოეხდინა, შუბლზე ჩამობლანდული შავი ქოჩორი გვერდელად გადაივარცხნა, ულვაშებიც გადაისწორა და ჯანით სავსე, ალმასებივით ანთებული თვალების ბრიალით უყურესებთან მივარდა. გიორგიმ მაშინ იცნო იორამი, როცა თედოს მოჰკრა თვალი. იცნო და უკანაც დაიხია.

— რად მემდური, გიორგი? — ომახიანად უთხრა იორამმა გიორგის.

— არ ვიცი, არ ვიცი! — ჩაიდუდუნა გიორგიმ.

— არც საცოდნელია. ბიჭობაში ერთმანეთი მკლავის ღონეში დაგვიცდია! მა, როგორღა მოვქცეულიყავით? სხვა სარბიელ-საამაგო აბა რა გვქონდა. თორემ ვინ იცის შენ მაჯობებდი. აკი ასეა. მე უბრალო კოლმეურნე ვარ უჯარმაშ, შენა კი— ბრიგადირი.

— ჰმ... აგრეა. მირჩიე რა ვქნათ, იორამო!

— წავხედოთ ახალგაზრდებს. იმათი ბედნიერებით და საცდელით ჩვენც გავიხაროთ.

— ეჰ, ეჰ, იორამო, რაც მტრობას დაუნგრევია, სიყვარულს უშენებია. — ჩაიდუდუნა კვლავ გიორგიმ და ძველ მოქიშპეს ხელი ჩამოართვა.

ილუსტრაციები შ. ცხადაძისა

ორთაჭალიესი



ვერა ბუაჩიძე

ორთაჭალესი სამბურჯიან რკინაბეტონის კაშხალს წარმოადგენს, რომლის წყალსაშვის საერთო სიგრძე რამდენიმე ათეულ მეტრს აღემატება. მისი ბურჯების სიმაღლე კი ოთხსართულიან სახლს გაუტოლდება.

ეს სადგური ინჟინრებმა, ძმებმა სანდრო და გაბო მენაბდეებმა დააპროექტეს და ბევრი სიახლეც შეიტანეს მასში. მათთან მუშაობდნენ ახალგაზრდა ინჟინრები: ქეთო ხიზანიშვილი, შოთა მეფარიშვილი და შალვა ართილაყვა.

უყურებთ ორთაჭალესის პროექტს და გიკვირთ: ნუთუ ეს მართლა ჰიდროსადგურია?! ის უფრო ხიდსა გავს, რომელსაც პარკში გადასასვლელი კოლონადები და პილონები ამშვენებენ.

ორთაჭალესის კაშხალი 12 მეტრით აამაღლებს მტკვრის დონეს. მდინარის შეტბორვა ჩელიუსკინელთა ხიდამდე გავრცელდება. ასე რომ მტკვრის ცენტრალურ უბანზე შესაძლებელი იქნება ნაოსნობისა და წყლის სპორტის მაქსიმალური განვითარება. აიღება სამასი არაგველის ხიდიც, მის ნაცვლად ქალაქს ორთაჭალესის ბურჯებზე დადგმული ლამაზი და განიერი ხიდი ექნება.

ამ ხიდისა და თვით ორთაჭალესის არქიტექტურული გაფორმება ახალგაზრდა არქიტექტორებს: ოთარ ბაგრატიონსა და თეიმურაზ მარგველაშვილს ეკუთვნით.

თბილისის სანაპიროს ორგანიულ დაბოლოებას წარმოადგენს ორთაჭალესი. თითქოს ამით იდება რაღაც ახალი, ლამაზი საზღვარი ქალაქის ზემოუბანსა და სოღანლუღის ველებს შორის.

სადგურის ბურჯები და მიმმართველი კედლები უკვე მთელი ტანით ამოზიდულან დედამიწის ზედაპირზე. 18.000 კუბური მეტრი ბეტონი მარტო ბურჯებშია ჩასხმული. ბურჯების დაბეტონება კი მშენებლებმა მხოლოდ გასული წლის ივლისის ბოლოს დაიწყეს. მანამდე ზღუდარებს აწყობდნენ, ქვაბულებს იღებდნენ და საყრდენი კედლები ამოჰყავდათ.

40.000 კუბური მეტრი მარტო კლდე ააფეთქეს და 45.000 კუბმეტრზე მეტი მდინარის ალუვიალური ნიადაგი ამოიღეს.

ადვილი სათქმელია, კლდე ააფეთქესო! მშენებლობა ქალაქში მიმდინარეობს, აქვეა თბილისის გოგირდის წყაროები. ზედმეტმა ნაბზარებმა ნიადაგში შეიძლება მათი დებეტის შემცირება გამოიწვიოს.

— სოხუმჰესზე გაცილებით უფრო თავისუფლად ვმუშაობდით, — ამბობს ორთაჭალესის მშენებლობის უფროსი ამხ. გიორგი ჩოგოვაძე, რომელიც სოხუმჰესის მშენებლობას ხელმძღვანელობდა და ახლა ორთაჭალესის მშენებლობას მეთაურობს.

— აფხაზეთის ტყეებში აფეთქებების არ გვეშინოდა, — ხუმრობს მშენებლობის მთავარი ინჟინერი ირაკლი მღებრიშვილი. მასაც ხრამისა და სოხუმჰესის მშენებლობებზე აქვს მიღებული პირველი საინჟინრო ნათლობა

სამშენებლო მოედანზე მუშახელი ცოტა ჩანს. სამაგიეროდ, მექანიზმები სჭარბობენ. მექანიზირებულია ყველა ძირითადი სამუშაო. ბეტონის ქარხნიდან უწყვეტ ლენტად მოედინებიან ტრანსპორტიორები.

მეორე ადგილას კი გრანიტით მოსავენ საძირკველს. ორთაჭალესზე ნაგებობის ყველა ნაწილი მოპირკეთებული იქნება დაბლა გრანიტით, შემდეგ ბაზალტით სულ ზევით კი — ეკლარის თეთრი ქვით.

ერთგან რომ სანაპიროს საყრდენი კედლის ქვაბულს ამზადებენ, მეორეგან ჩაქუჩების მწყობრი ხმა ისმის ბაზალტის ლოდებზე

აღარ არიან „მფრინავები“ მშენებლობებზე. თოთხმეტი წლის მუშაობის სტაჟი აქვს მიხეილ კუზმენკოს. იგი კომპლექსური ბრიგადის ხელმძღვანელია. „გაჭირვების ტალკვესიაო“ რომ იტყვიან, სწორედ ასეთია კომპლექსური ბრიგადა მშენებლობაზე: სადაც მებეტონეებს გაუჭირდებათ, ის იქ გაჩნდება, თუ ინექციის სამუშაოები შეფერხდა, იქ გადაინაცვლებს, ან თუ გრანიტით შემოსვა გაჭირდა, ბურღავენ გრანიტის ლოდებს, რომ მავთული გაუყარონ და შემდეგ ცემენტით ჩააანკერონ კედელში. კუზმენკოს ბრიგადა გეგმას 160-170 %-ით ასრულებს.

კადრის მშენებელთა მუშებს ფეხდაფეხ მისდევენ გუშინდელი კოლმეურნეები. ზოგჯერ უსწრებენ კიდეც.

ერთი წელია, რაც მშენებლობაზე მუშაობს ვლადიმერ გოგოლაშვილი, მისი კომპლექსური ბრიგადა 130-140 %-ით ასრულებს გეგმას.

მეარმატურე ნიკოლოზ ბაბალაშვილი თელავის რაიონიდან არის ჩამოსული. დღიურ გეგმას 130-150 %-ით ასრულებს. პირველად გაუჭირდა, ამდენი ერთად ჩაწყობილი რკინა თვალით არ ენახა. ადვილი არ იყო ნახაზების გარჩევაც, მაგრამ თანდათან დაოსტატდა და ბოლოს მოწინავე გახდა.

მშენებელ მუშებთან ერთად მშვიდობის ვახტზე მტკიცედ დგანან ახალგაზრდა ინჟინრებიც. თამამად დაუწინაურებიათ ისინი მშენებლობის ხელმძღვანელებს. ინჟ. ივანე კახიძე — უბნის უფროსია. ინჟ. დავით ორჯონიკიძე მოპირკეთებასა და მიწა-კლდის სამუშაოებს ხელმძღვანელობს. ავთანდილ ბენეთიშვილი — ახალგაზრდა ტოპოგრაფია. სამუშაოთა მწარმოებლები არიან კომკავშირელი ინჟინრები გივი კვანტრიშვილი და ნოდარ ემუხვარი. ბეტონის ლაბორატორიას კი ინჟ. მამია ნემსაძე ხელმძღვანელობს, იგი, ამავე დროს, მშენებლობის პარტკომის მდივანია.

უყურებ ამ ახალგაზრდა მშენებელთა მტკიცე კოლექტივს და არ გაკვირვებს ის ოქროსფერი ჯეჯიმით მორთული წითელი ხავერდის დროშა, მშენებლობის უფროსის ოთახში რომ ამშვენებს კედელს.

ორთაჭალესის მშენებლებმა საკავშირო შეჯიბრებაში, 1951 წლის მე-2, მე-3 და მე-4 კვარტალებში პირველი ადგილი დაიკავეს. აღსანიშნავია, რომ ამ შეჯიბრებაში საბჭოთა კავშირის 200 ჰიდროელექტროსადგურის მშენებელთა კოლექტივი იღებს მონაწილეობას.

ეს გამარჯვება გარანტიას იძლევა, რომ მშენებლობის ყველა ვადა დაცული იქნება და თბილისს მალე ორიგინალური ელექტროსადგური და სანაოსნო სპორტის დიდი ბაზა შეემატება

ლეონარდო და ვინჩი

ვახტანგ ბერიძე

მიმდინარე წლის აპრილში საბჭოთა კავშირის ხალხებმა, მთელი მსოფლიოს მოწინავე ადამიანებთან ერთად, ზეიმით აღნიშნეს გენიალური იტალიელი ხელოვანისა და მეცნიერის ლეონარდო და ვინჩის დაბადებიდან 500 წლისთავი. ლეონარდო და ვინჩი ერთი ყველაზე შესანიშნავი წარმომადგენელთაგანია იმ ხანისა, რომელიც, ენგელსის სიტყვით, იყო „უდიდესი პროგრესული გადატრიალება, რომლის მსგავსიც მანამდე კაცობრიობას არ განეცადა, ეპოქა, რომელსაც სჭირდებოდა ტიტანები და რომელმაც წარმოშვა კიდეც ტიტანები — აზროვნების სიძლიერის, მრავალმხრივობისა და განათლების მხრივ“. ენგელსისავე სიტყვით, ეს იყო ეპოქა, როცა „ძველი წარმოდგენა სამყაროს შესახებ დაირღვა. დედამიწა ნამდვილად მხოლოდ მაშინ აღმოაჩინესო“.

ლეონარდო ცხოვრობდა იმ დროს, როცა იტალიის ქალაქებში უკვე განვითარებულ კაპიტალისტურ ურთიერთობას საფუძვლიანად ჰქონდა შერყეული შუასაუკუნეთა დოგმატიკური რელიგიური მსოფლმხედველობა, მაგრამ „იმ დროის ხალხი ჯერ კიდევ არ დამონებოდა შრომის განაწილებას, რომლის შემზღუდავ, დამამახინჯებელ მოქმედებასაც ჩვენ ასე ხშირად ვხედავთ მათს მემკვიდრეებში... ის ადამიანები, რომელთაც დღევანდელი ბურჟუაზიის ბატონობა დაამყარეს, არავითარ შემთხვევაში არ ყოფილან ბურჟუაზიულად შეზღუდულნი... მაშინ არ იყო არც ერთი დიდი ადამიანი, რომელსაც შორეული ქვეყნები არ ჰქონოდა მოგზილი, ოთხი ან ხუთი ენა არ სცოდნოდა, თავი არ გამოეჩინა შემოქმედების რამდენსამე დარგშიო“, — წერდა ენგელსი.

აღორძინების ხანის საუკეთესო შემოქმედნი ოცნებობდნენ ჰარმონიულად განვითარებულ „უნივერსალურ ადამიანზე“, და შეიძლება ითქვას, რომ ამ ოცნების ყველაზე უფრო სრულ ხორცშესხმას სწორედ ლეონარდო და ვინჩი წარმოადგენდა: იგი „არა მარტო დიდი მხატვარი იყო, არამედ დიდი მათემატიკოსიც, მექანიკოსიც და ინჟინერიც, რომელსაც ფიზიკის სხვადასხვა დარგში მნიშვნელოვანი აღმოჩენები ეკუთვნის“ (ენგელსი). ლეონარდო ერთი იმ მოწინავე ადამიანთაგანია, რომელთაც თავისი დაუცხრომელი შრომით, თავისი შეუნელებელი ინტერესითა და სიყვარულით რეალური სამყაროსადმი, ცოცხალი ბუნებისადმი, თავისი ღრმა აზროვნებით ძირი გამოუთხარეს „ძველ წარმოდგენას სამყაროს შესახებ“ და საფუძველი ჩაუყარეს სრულიად ახალს, ცდასა და ანალიზზე დამყარებულ წარმოდგენას ბუნებასა და თვით ადამიანზე.

ლეონარდო და ვინჩი დაიბადა 1452 წლის 15 აპრილს სოფ. ანკიანოში, ქ. ვინჩის მახლობლად. იგი უკანონო შვილი იყო ნოტარიუსის პიერო ვინჩისა და გლეხის ქალის კატარინასი. იზრდებოდა მამის ოჯახში დედინაცვლისა და პაპის მეთვალყურეობით. 1469 წელს ოჯახი ფლორენციაში გადასახლდა და ბავშვი, რომელიც იმთავითვე დიდად ნიჭიერი ჩანდა, მოქანდაკისა და მხატვრის ანდრეა დელ ვეროკიოს სახელოსნოში მიაბარეს სასწავლად. ლეონარდოს სიჭაბუკისა და ახალგაზრდობის წლები მთლიანად ფლორენციასთანაა დაკავშირებული. როგორც მხატვარი და მეცნიერი ლეონარდო ჩამოყალიბდა იტალიის ამ ყველაზე მოწინავე ქალაქში, სადაც ჰუმანისტური კულტურა — ხელოვნება და მეცნიერება — იმ დროს უკვე ბრწყინვალედ იყო გაფურჩქვნილი. ვეროკიოს სახელოსნო, რომელშიაც ლეონარდომ კარგა ხანს დაჰყო, XV საუკუნის სამოცდაათიან წლებში ფლორენციის უმთავრესი სამხატვრო ცენტრი იყო. ლეონარდომ აქ სერიოზული ცოდნა მიიღო მხატვრობის დარგში, მან საფუძვლიანად შეისწავლა ანატომია და პერსპექტივი, მას აღეძრა ცხოველი ინტერესი მეცნიერების შრავალი დარგისადმი, გაბედული ექსპერიმენტებისადმი, რაც საერთოდ დიდად დამახასიათებელია აღორძინების ხანისათვის.

ლეონარდოს ადრინდელ ნამუშევრებში უკვე გარკვევით მოჩანს მხატვრის ძიებათა ხასიათი და მიმართულება. მისი ინტერესისა და შესწავლის ძირითადი ობიექტი ადამიანია, ცოცხალი ადამიანი თავისი ფიზიკური სილამაზითა და სულიერი სიღრმით. ლეონარდო ამ მხრივაც ტიპიური წარმომადგენელია თავისი ეპოქისა. იგი დიდი მუყაითობით სწავლობს ადამიანის სხეულის ანატომიურ აგებულებას, პროპორციებს, სხეულის მოძრაობას. იმავე დროს, მის სურათებსა და ნახატებში ჩნდება ფიგურის მოდელირების ახლებური მანერა — ადრინდელი რენესანსის მხატვრების ნამუშევართათვის დამახასიათებელი სიმკვთრე შუქისა და ჩრდილის თანდათანობითი, შეუმჩნეველი გადასვლებით იცვლება. დასასრულ, ლეონარდო უკვე ცდილობს გარკვეულ კანონზომიერებას დაუქვემდებაროს თავისი სურათების კომპოზიცია — ამ მხრივაც იგი ახალს, მეტად მნიშვნელოვან ნაბიჯს დგამს.

ხატვის პარალელურად, ლეონარდო მეცნიერის თვალითაც სწავლობდა ბუნებას და თავის დაკვირვებებს იწერდა კიდეც. ამ მხრივ მას რაიმე სისტემატური განათლება არ მიუღია, მისი ცოდნა მხოლოდ საკუთარ ცდებსა და დაკვირვებებს ემყარებოდა, მაგრამ ეს ძიება მუდამ გარკვეული და მიზანდასახული იყო. აზრი მეცნიერებასა და ხელოვნებას შორის მჭიდრო კავშირის არსებობისა ღრმად იყო ფესვგადგმული ფლორენციის ინტელექტუალისტურ კულტურაში და ლეონარდოსაც მეცნიერება და ხელოვნება განუყოფლად ჰქონდა წარმოდგენილი: სრულყოფილი სილამაზის განსასახიერებლად საჭიროა ჭეშმარიტების საფეხურებზე ასვლა; ხელოვნება მეცნიერებას უნდა ემყარებოდეს ისე, როგორც კვარცხლბეკს, რადგანაც ახლოლუტური სილამაზე მხოლოდ ახლოლუტურ ჭეშმარიტებას ემთხვევაო. — ამბობდა იგი.

ლეონარდოს მუდამ თან დაჰქონდა პატარა უბის წიგნაკი, რომელშიაც თავის დაკვირვებებს ინიშნავდა. დღემდის დარჩენილია თითქმის 7.000 გვერდი მისი ხელნაწერებისა, რომლებიც ამჟამად დაშლილ-დაფანტულია და ევროპის სხვადასხვა ბიბლიოთეკებში ინახება (ლონდონი, უინძორი, ოქსფორდი, პარიზი, მილანი, ტურინი). აქ, ამ ძნელად გასარჩევ, მარჯვნიდან მარცხნივ ნაწერ სტრიქონებში, რომლებიც სარკეში იკითხება (ლეონარდო ცაცია იყო), მკითხველის წინაშე იშლება ამ ადამიანის ინტერესთა საკვირველი მრავალფეროვნება, მისი აზროვნების სიმახვილე და სიღრმე. ჩანაწერთა დიდი ნაწილი მოუწესრიგებელი დარჩა, მხოლოდ ზოგიერთი საკითხის შესახებ მოახწრო ლეონარდომ მასალის სისტემატური თავმოყრა. მისი „ტრაქტატი მხატვრობაზე“, რომელიც ამ ჩანაწერთა საფუძველზეა შედგენილი, წარმოადგენს რენესანსის რეალისტური ხელოვნების პრაქტიკულ მონაპოვართა შესანიშნავ თეორიულ განზოგადებას და, იმავე დროს, პრაქტიკულ სახელმძღვანელოსაც.

დაახლოებით 1482 წ. ლეონარდო ტოვებს ფლორენციას და მილანში მიემგზავრება ჰერცოგ ლოდოვიკო მოროსთან. მილანის პერიოდი, რომელიც XV საუკუნის დასასრულამდე გრძელდება, ყველაზე უფრო ნაყოფიერია მის შემოქმედებაში. ლეონარდო — მხატვარი უკვე სავსებით მომწიფებულია, იგი ჰქმნის თავის ძირითად ნაწარმოებებს, რომლებიც, არსებითად, საფუძველს უყრიან ახალ საფეხურს რენესანსის ხელოვნების განვითარებაში. ეს სურათებია ე. წ. „მადონა მღვიმეში“ (ინახება ლუვრის მუზეუმში, პარიზში) და „საიდუმლო სერობა“ სანტა-მარია-დელე-გრაციეს მონასტრის სატრაპეზოს კედელზე (1495 — 1498 წლები).

„საიდუმლო სერობაში“, რომელიც დღეს სანახევროდ დაღუპულად შეიძლება ჩაითვალოს, ე. წ. „მაღალი რენესანსის“ კლასიკურმა სტილმა თავისი სრული განსახიერება ჰპოვა. თუმცა სურათის სიუჟეტი საღვთო წერილიდანაა აღებული, იგი არაფრით არ გვგონებს ამ სცენის ტრადიციულ, სარწმუნოებრივ გაგებას. ლეონარდოს — თავისი ეპოქის ღვიძლ შვილს — ამ სიუჟეტში იზიდავს არა სარწმუნოებრივი, ლეგენდური მხარე, არამედ ცოცხალ ადამიანთა განცდები, მათი ღრმად და მრავალგვარად გადმოცემა. სურათის მთელი კომპოზიციური აგებულება ადამიანთა მაქსიმალურად მკაფიო გამოსახვას ემსახურება. შუასაუკუნეობრივი დოგმატიკური კომპოზიცია, რომელსაც არსებითად ვერც კვატროჩენტოს (XV ს.) მხატვრები გასცდნენ, უარყოფილია, ლეონარდო სურათს აგებს საკუთარი მხატვრული ამოცანის შესაბამისად. იგი უკუაგდებს ყველაფერს, რაც კი შემთხვევითია, რაც არ ემსახურება და არ აძლიერებს სურათის ძირითადი აზრის გადმოცემას და მაყურებლის მთელ ყურადღებას სცენის ღრმა ფსიქოლოგიზმისა და დრამატიზმისაკენ მიმართავს. „საიდუმლო სერობაში“ ლეონარდომ საბოლოოდ ჩამოაყალიბა „მაღალი რენესანსისათვის“ დამახასიათებელი კლასიკური კომპოზიცია სურათისა. აქ მან საბოლოოდ დასძლია კვატროჩენტოს ნატურალიზმი: ფორმები განზოგადებულია, სურათის ელემენტები თანადაქვემდებარებულია ერთმანეთისადმი მათი მნიშვნელობის შესაბამისად.

ამდროინდელი და მომდევნო ხანის სურათებში ძალიან მკაფიოდ იხახება ლეონარდოს ფერწერის მანერაც: შუქ-ჩრდილთა რბილი მოდელირება — ნაცვლად კვატროჩენტოს მხატვართა გრაფიკული სიმკვეთრისა, სურათის კოლორიტული გამის განზოგადება — ნაცვლად წინანდელი სიჭრელისა, რაც ცალკეულ საგანთა ლოკალური ფერის დამოუკიდებლად გადმოცემის შედეგი იყო. ფლორენციელ მხატვართა ტრადიციული ტონები: მომწვანო, მოლურჯო, მოწითალო ლეონარდოსთანაც რჩება, მაგრამ ამ ფერებს თითქოს მოყავისფრო-მონაცრისფრო ნისლი დაჰკრავს, სურათში თითქოს ჰაერი გაჩნდა, ხხივფენილი ჰაერი, რომელიც ანელებს კონტურთა სიმკვეთრეს და კოლორიტშიაც ერთიანობა შეაქვს.

XV საუკუნის მიწურულში გამწვავებულმა პოლიტიკურმა მდგომარეობამ ლეონარდო აიძულა მილანი დაეტოვებინა. ერთხანს იგი საფორტიფიკაციო სამუშაოებს აწარმოებდა ჩეზარე ბორჯიასთვის, მუშაობდა ფლორენცია-პიზის არხის პროექტზე, იკვლევდა ჩიტების ფრენას და თავის დაკვირვებათა საფუძველზე საფრენი აპარატის შექმნას ცდილობდა, ჰკვეთდა გვამებს ანატომიის უკეთ შესწავლის მიზნით და სხვ. ამავე დროს, მას არც მხატვრობისთვის დაუნებებია თავი: ფლორენციის ქალაქის თვითმმართველობის დიდი საბჭოს დარბაზში იგი ხატავს „ანგიარის ბრძოლას“, რომელშიაც გადმოცემულია ეპიზოდი ფლორენციის ისტორიიდან (ფრესკას დღემდის არ მოუღწევია), ხოლო დაახლოებით 1503 წელს ასრულებს „მონა ლიზას“ სახელგანთქმულ პორტრეტს (ე. წ. „ჯოკონდას“). 1506 — 1507 წლებს მიეკუთვნება ფრანგი მარშალის — ტრივულციოს ძეგლის პროექტი, ხოლო 1508 — 1512 წლებს — ჩვენთვის ცნობილი უკანასკნელი სურათები ლეონარდოსი — „წმინდა ანა“ და „იოანე ნათლისმცემელი“ (ორივე ლუვრშია). სიცოცხლის ბოლო წლები ლეონარდომ საფრანგეთში — ფრანსუა I-ის კარზე გაატარა. ლეონარდო საფრანგეთშივე გარდაიცვალა 1519 წლის 2 მაისს.

სურათები, რომელიც უტყუარად ლეონარდო და ვინჩის მიეკუთვნება, თითებზე ჩამოსათვლელია. ზემოთ დასახელებულთ შეიძლება დავუმატოთ „მადონა თითისტარით“ (ამერიკაშია, კერძო კოლექციაში), რომელიც ამ ორიოდე წლის წინათ სპეციალისტებმა ლეონარდოს მიერ შესრულებულად სცნეს. ამას გარდა დარჩენილია ლეონარდოს შესანიშნავი ნახატები: პორტრეტები, პეიზაჟები და კარიკატურები (კალმითა და ფანქრით შესრულებული), მრავალრიცხოვანი ნახატები და ნახაზები, რომლებიც სხვადასხვაგვარი მანქანების პროექტებს წარმოადგენენ, ანატომიური შტუდიები და სხვ.

მიუხედავად იმისა, რომ ინტერესებისა და მოღვაწეობის მრავალფეროვნების გამო (მხატვრობა, ქანდაკება, არქიტექტურა, სამხედრო-საინჟინრო საქმე, მექანიკა და სხვ.) ლეონარდოს — მხატვრის მემკვიდრეობა რაოდენობრივად მცირეა, მისი მნიშვნელობა ხელოვნების ისტორიაში მაინც განუზომელია.

ლეონარდოს შემოქმედება ახალი, მაღალი საფეხური იყო რენესანსის ხელოვნების განვითარებაში. თავისი რაციონალიზმით, თავისი ღრმა ინტერესით მთელი სამყაროსადმი, რომელსაც იგი აღიქვამდა, როგორც კონკრეტულ რეალობას, ბუნების კანონზომიერებათა მუდმივი ძიებით, იგი მკვეთრად უპირისპირდებოდა შუასაუკუნეთა მისტიკურ-დოგმატიკურ აზროვნებას. მისმა იდეებმა, მისმა განსაცვიფრებელმა ოსტატობამ, რომელიც დღესაც აჯადოებს ადამიანს, უდიდესი როლი შეასრულეს მსოფლიო რეალისტური ხელოვნების დამკვიდრებაში.

ლეონარდოს შემოქმედება ერთი უძვირფასესი განძთაგანია მსოფლიო კულტურულ მემკვიდრეობაში. ლეონარდოს შემოქმედება მშვიდობისათვის ბრძოლის საქმეს ემსახურება. მშვიდობის მსოფლიო საბჭოს თავმჯდომარის ფრედერიკ ჟოლიო-კიურის სიტყვით რომ ვთქვათ, „იგი საშუალებას აძლევს სხვადასხვა ეპოქის ადამიანებს გაიცნონ ერთმანეთი, გაიგონ, თუ რა აკავშირებს მათ ამჟამად. იგი უქმნის მათ საყოველთაო თანხმობისა და ურთიერთგაგების პერსპექტივებს. იგი ყოველ წუთს უნერგავს მათ ადამიანისადმი რწმენას იმ მომენტში, როცა უფრო მეტად ვიდრე ოდესმე, საჭიროა ურთიერთგაგება“. ამიტომ საბჭოთა ხალხის დიდი ინტერესიც ლეონარდო და ვინჩისადმი სავსებით ბუნებრივი და კანონზომიერია.

იგავები

სამართებელი

ერთხელ სამართებელი ამოვიდა ტარიდან, რომელიც ქარქაშად ჰქონდა გადაქცეული, გაიშალა მზეზე და დაინახა, რომ მზე აირეკლა მის სხეულზე; ამის შემხედვარმა თავი დიდ ვინმედ წარმოიდგინა, გონების თვალი გადაავლო განვლილს და ასეთი მსჯელობა გაუმართა თავის თავს: — ნუთუ ისევ დავუბრუნდები იმ სადალაქოს, საიდანაც ახლახან წამოვედი? რა თქმა უნდა, არა! არ ინებებენ ღმერთები, რომ ასეთი ბრწყინვალე სილამაზე სულის ესოდენ სიმდაბლემდე დაეშვას. რა უგუნურება იქნებოდა, რომ ბედისწერას ერგუნებინა ჩემთვის მიამიტი გლეხკაცების გასაპნული წვერულვაშის პარსვა და მექანიკურ სამუშაოთა შესრულება! განა ეს ჩემი სხეული ამგვარი ვარჯიშობისთვის არის განკუთვნილი? რა თქმა უნდა, არა! მოდი, დავიმალები სადმე იდუმალ ადგილას და მშვიდად, მოსვენებით გავატარებ ჩემს ცხოვრებას.

და აი, რამდენიმე თვით ასე დამალული, ის ერთხელ მზის სინათლეს დაუბრუნდა, ამოვიდა ქარქაშიდან და დაინახა, რომ დაჟანგულ ხერხს დამსგავსებოდა; მის ზედაპირზე უკვე აღარ აირეკლა ელვარე მზე. ამაო იყო სინანული მისი, ამაოდ დასტიროდა გამოუსწორებელ უბედურებას, და ასე მოსთქვამდა; — ვაი ჩემს გაჩენას! რამდენად უკეთესი იქნებოდა, ისევ დალაქთან ემუშავა ჩემს შესანიშნავი სიფაქიზის აწ დაჩლუნგებულ პირს! სადღაა ახლა ის ელვარე ზედაპირი? ჰეშმარიტად, იგი საძაგელმა და უხეშმა ჟანგმა ამოსჭამა!

ასე ემართება ხოლმე იმ გონებას, რომელიც შეწყვეტს ვარჯიშობას და უსაქმურობას მიეცემა; ასეთებს, მსგავსად ზემოხსენებული სამართებლისა, ეკარგებათ თავიანთი სიმახვილე და უვიცობის ჟანგი ედებათ.

პეპელა

თავმომწონე და დაუდეგარმა პეპელამ არ იკმარა ჰაერში არხეინად ფრენა და სინათლის შუქით მოჯადოებულმა, ალში შეფრენა გადაწყვიტა; მაგრამ მისი მხიარული მოძრაობა მალე მწუხარების მიზეზი გახდა: როცა ხსენებულ ალში შეიტრუსა მისი ნაზი, პატარა ფრთები, სულ ერთიანად შერუჯული, ბედკრული პეპელა შანდლის ძირთან დაეცა. ოხვრის, წუწუნისა და სინანულის შემდეგ მან ცრემლიანი თვალები მოიწმინდა, თავი ასწია ზევით და წარმოთქვა:

„ჰოი, მაცთურო სინათლევ! წინათ ჩემსავით რამდენი მოგიტყუებია უსინდისოდ. თუ მაინცადამაინც სინათლის ხილვას ასე ვიყავი მოწყურებული, ნუთუ არ მომეთხოვებოდა, რომ მზე ბინძური ქონის მატყუარა ალისაგან გამომერჩია?“

„.მთიდან... დაიწყებს ფრენას, შესანიშნავი ფრინველი, რომელიც მთელ ქვეყნიერებაზე გაითქვამს სახელს“,

— წერდა ლეონარდო და ვინჩი, და ამით თითქოს მომავალ საუკუნეებს ეხმაურებოდა.

ეს მთა „გედის“ მთაა, ფლორენციის მახლობლად, საიდანაც ლეონარდო საკუთარი კონსტრუქციის ხელსაწყოთი ფიქრობდა გაფრენას. ლეონარდო სწავლობდა ფრინველის, ბუზის, კალიის აგებულებას, მათი ფრენის თავისებურებას, სწავლობდა როგორც ანატომი და ფიზიოლოგი, როგორც თვალმახვილი დამკვირვებელი. ამავე დროს ფრინველი მას წარმოდგენილი ჰყავდა მათემატიკური კანონებით მოძრავ ინსტრუმენტად.

ლეონარდომ თავისი ოცნება ვერ განახორციელა: მის განკარგულებაში საჭირო სიმძლავრის მოტორი არ მოიპოვებოდა. მხოლოდ ასეული წლების შემდეგ შეძლო ადამიანმა საჰაერო ოკეანის დაუფლება.



ხელოვნური ფრინველის ფრთა

ლეონარდო და ვინჩი — მოგზაური

გენიალური მხატვარი, მოაზროვნე, მექანიკოსი ლეონარდო და ვინჩი, აგრეთვე, მოგზაურიც იყო.



ლეონარდო დ. ვინჩიმ, პირველმა მეცნიერულად შეისწავლა ალპების მყინვარები. 1500-1502 წლებში იმოგზაურა აღმოსავლეთში: მოინახულა ეგვიპტე, მცირე აზია, ევფრატი და ტიგროსი. მან დახაზა ხუეცის ყელის რუკა. იგი აგროვებდა მასალებს მთელი იმ გზის აღსაწერად, რომელიც მიიმართება გიბრალტარიდან მდინარე დონამდე, არკვევდა შავი და კასპიის ზღვების დონეს, მოხსენებული აქვს აზოვის ზღვა.

ლეონარდო და ვინჩი აგროვებდა ცნობებს „სკვითების ქვეყნის მთა კაუკაზუს შესახებ“.

ლეონარდო და ვინჩი ამერიგო ვესპუჩის მეგობარი იყო, ამიტომ კარგად იცოდა კოლუმბის, ვასკო და გამას და დიაცას მოღვაწეობის ისტორია. იგი ერთ-ერთი პირველი კარტოგრაფია, რომელმაც რუკაზე აღნიშნა (1512 წელს) ამერიკა, ჩინეთი, ქვეყანა „ტანგუტი“ და იაპონია.

ანატომიური ნახატი



ვინც არ აფასებს სიცოცხლეს, სიცოცხლის ღირსი არაა.

დიდება და ღირსება შრომის სოლთაა.

არ არსებობს ისეთი სამუშაო, რომელსაც შეეძლოს ჩემი მოღლა-მოქანცვა.

სიმრავნე გამოცდილების პირმშოა.

პრაქტიკა ყოველთვის უნდა ეყრდნობოდეს ჯარგ თეორიას.

მსაცველი ეცილება და ეჯიბრება მუნებას.

მსაცველი, რომელიც საცავს გონების ჩაურეველად, საცავს ისე, როგორც თვალი სდავს, ემსგავსება სარკეს, რომელიც მის წინაშე მდებარე ყველა საგანს ასახავს შეუცნობლად, ასახავს ისე, რომ მათზე წარმოდგენაც არა აქვს.

...თუ შენ საკუთარი მსჯელობით, ან სხვისი მითითებით აუმოაჩენ რაიმე შეცდომას შენს ნამუშევარში, გაასწორე ის, რათა ამ ნამუშევრის გამოქვეყნებით შენი ნაკლოვანებანიც საქვეყნო არ გასადო.

სადაც იმედი ჯდება, იქ სიცარიელე ისადგურებს.

უკეთესია ნაკლები სიზუსტე, ვიდრე დიდი სიცრუე

რჩევისათვის მიმართე იმას, ვინც საკუთარ თავზე გამარჯვებას არის ჩქეულ.

ო, ბილის გუდავ! რას გამოელი ბილისაგან? ბილი სომ სიკვდილის მსგავსია. მაშ, ცოცხალს რად დაგყავს შენი თავი მკვდრის მდგომარეობამდე? რად არ ჰქმნი ისეთ რამეს, რაც სიკვდილის შემდეგაც ცოცხლად დაგსახავდა ცოცხლებს შორის?

ლეონარდო და ვინჩი →





ლეონარდო და ვინჩი
ნახატები.

ლეონარდო
და ვინჩი
მადონა მღვიმეში
პარიზი, ლუვრი

კლუბი მსოფლიო აუდიტორიით

ფოტო: ნარკვევი ვ. ჩერკასოვისა



რადიომოყვარულთა ჯგუფი: წინა პლანზე — მე-13 ქალთა საშუალო სკოლის მე-9 კლასის მოსწავლე ლ. ბებუთეიშვილი, უკანა პლანზე—ინჟინერ-ინსტრუქტორი მ. ქორიძე, ვაჟთა მე-9 საშუალო სკოლის მე-8 კლასის მოსწავლე ს. კიკნაძე და ვაჟთა მე-3 სკოლის მე-6 კლასის მოსწავლე რ. მარქაროვი. „დოსაააფის“ თბილისის რადიოკლუბის საინსტრუქტორო სექციის რადიო-მზომ ლაბორატორიაში მუშაობის დროს.

„დოსააფის“ თბილისის რადიოკლუბი მნიშვნელოვან მუშაობას ატარებს რადიომოყვარულთა შორის. ეს კლუბი 180-ზე მეტ წევრს აერთიანებს. აქ ყოველ საღამოს მოდიან მოკლეტალღოსანთა სექციის წევრები: პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტი კონსტანტინე ცოტაძე, ვაჟთა მე-10 საშუალო სკოლის მე-11 კლასის მოსწავლე გიორგი ბალარჯიშვილი და კიდევ მრავალი სხვა. ისინი ოსტატდებიან რადიოტალღების მიღებაში და გადაცემაში, ამას გარდა, მორიგეობენ კლუბის რადიოსადგურზე—უფ 6 კაფ-ზე. მათ კარგ მუშაობაზე ლაპარაკობს რადიოდიალოგების ის მრავალრიცხოვანი ბარათები, რომლებიც მიღებულია მოკავშირე რესპუბლიკებისა და სახალხო დემოკრატიული ქვეყნების რადიომოყვარულთაგან—წელიწადში 5 ათასზე მეტი ასეთი ბარათი მოდის თბილისელი მოკლეტალღოსნების სახელზე.

სახალხო დემოკრატიული ქვეყნების მოკლეტალღოსნებისაგან მიღებული რადიოდიალოგების ბარათები.

საღამოობით კლუბის ბიბლიოთეკა ხალხით არის გაჭედილი. მოკლეტალღოსნები აქ ეცნობიან ახალ ლიტერატურას რადიოტექნიკის დარგში. რადიომოყვარულთა შორის დიდი პოპულარობით სარგებლობს საკონსტრუქტორო სექცია, რომელსაც გამოცდილი ინჟინერ-ინსტრუქტორი მ. ქორიძე ხელმძღვანელობს. თბილისის რადიომოყვარულები მას ხშირად მიმართავენ რჩევისა და დახმარების მისაღებად.

კლუბის საკონსტრუქტორო სექცია აქტიურ მონაწილეობას იღებს რადიომოყვარულთა შემოქმედების მე-10 საკავშირო გამოფენაში. ამ გამოფენაზე, მოსკოვში გაგზავნილია 34 სხვადასხვა ექსპონატი, მიმღები-გამაძლიერებელი აპარატურა, რადიო-მზომი, მოკლეტალღოვანი და ულტრა-მოკლეტალღოვანი აპარატურები, აგრეთვე, რადიოხელსაწყოები სახალხო მეურნეობაში გამოსაყენებლად.

რადიო საქმის შესწავლისა და თბილისის მშრომელებსა და მოწაფეებს შორის მისი პოპულარიზაციისათვის კლუბის მუშაკები ხშირად ატარებენ ლექციებს რადიოტექნიკის შესახებ. საწარმოებში და დაწესებულებებში: აბრეშუმის საქსოვ ფაბრიკაში, ტრამვაი-ტროლეიბუსების სამმართველოში, რკინიგზისა და ტოპოგრაფიის ტექნიკუმებში ორგანიზებულია რადიო-ტელეგრაფიის შემსწავლელი წრეები.

თბილისის აბრეშუმის საქსოვ ფაბრიკასთან არსებული რადიო-ტელეგრაფიის წრის მეცადინეობა. მეცადინეობას ატარებს კლუბის ინჟინერ-ინსტრუქტორი ვ. თადუმაძე.

ლეონარდო და ვინჩი
← მონა ლიზა ჯოკონდა
პარიზი, ლუვრი

საქართველო ეკრანზე

შალვა ბუაჩიძე

ახალი ფერადი დოკუმენტალური ფილმი „საბჭოთა საქართველო" (რეჟისორები ს. დოლიძე და რ. კარმენი) ამაღელვებლად მოგვითხრობს მზიური საქართველოს ეკონომიკისა და კულტურის აყვავებაზე, ჩვენი რესპუბლიკის მშრომელთა მიერ მოპოვებულ წარმატებებზე.

ფილმი გვიჩვენებს საბჭოთა საქართველოს ახალ ადამიანებს: რუსთავის ფოლადის მდნობელებს, ტყიბულის, ტყვარჩელისა და ჭიათურის მაღაროელებს, ქუთაისის მეავტომობილეებს, კოლმეურნეებს, ინჟინრებს, მეცნიერებს, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეებს.

...ეკრანზეა ალაზნის ველი ქართლის ტრამალები, ტყეებით დაფარული მთის კალთები, სწრაფი მდინარეები და მქუხარე წყალვარდნილები, მუდმივი თოვლით დაფარული კავკასიონის მწვერვალები.

მრავალფეროვანია ჩვენი ქვეყნის ბუნება. უხსოვარი დროიდან მოსახლეობენ ამ მიწაზე ქართველები. ჩვენი წინაპრების კულტურის მაღალი დონის მაჩვენებელია ხუროთმოძღვრების შესანიშნავი ძეგლები, რომლებითაც მოფენილია საქართველოს მთა და ბარი.

ქართველი ხალხის შემოქმედებით ენერგიას განსაკუთრებული გასაქანი მისცა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამ.

მაყურებელი ხედავს საქართველოს ქალაქებსა და სოფლებში აგებულ ახალ საწარმოებს, საცხოვრებელ სახლებს, სკოლებს, კლუბებს. შემოქმედებითი პათოსითაა გამსჭვალული მთელი რესპუბლიკა, და განუზომელია ამ შთაგონებული შრომის ნაყოფი.

პარტიისა და ამხანაგ სტალინის მუდმივი ზრუნვის შედეგად, აყვავდა და გაიფურჩქნა საბჭოთა საქართველო სსრ კავშირის რესპუბლიკათა ძმურ ოჯახში.

ეკრანზე მოჩანს ყოველი საბჭოთა ადამიანისათვის საყვარელი სილუეტი პატარა სახლისა გორში, სადაც დაიბადა და ბავშვობის წლები გაატარა დიდმა სტალინმა.

ფილმის საგრძნობი ნაწილი მიძღვნილია თბილისისადმი. საბჭოთა ხელისუფლების წლებში სრულიად იცვალა სახე ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქმა. იგი დაამშვენა ფართო ქუჩებმა, დიდებულმა შენობებმა, ახალმა ხიდებმა და სანაპირო ქუჩებმა.

ფილმი გვიჩვენებს მთელი რესპუბლიკის აღორძინების გრანდიოზულ პანორამას. საუცხოოა ფილმის ის კადრები, სადაც საქართველოს შესანიშნავი კურორტებია ნაჩვენები — გაგრა, ბორჯომი, ახალი ათონი, წყალტუბო, ქობულეთი, ბაკურიანი.

ფილმის დასასრულს მაყურებელი ხედავს სამგორის სარწყავი სისტემის 'საზეიმო გახსნას ხალხის სანუკვარი ოცნების განხორციელებას. ივრის წყლის შემოჭრას სამგორის მიწებზე.

„საბჭოთა საქართველო" დოკუმენტალური კინემატოგრაფიის ღირსშესანიშნავი ნაწარმოებია. საბჭოთა მაყურებელი ინტერესით ნახავს ამ ლამაზ, პოეტურ ფილმს, რომელიც ამაღელვებლად გვისურათებს დიდი სტალინის მზრუნველობითა და დახმარებით მოპოვებულ მიღწევებს ჩვენი რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის ყველა დარგში.





ფოტოზე—კადრები კინოფილმიდან „საბჭოთა საქართველო".

ბოლოსდროინდელი ბოროტმოქმედებანი

მ. სვურეა

„1950 წლის ჯვაროსანთა ლაშქრობა"

1950 წლის ზაფხულის ერთ პაპანაქება დღეს ამერიკის შეერთებული შტატების დედაქალაქს — ვაშინგტონს — არაჩვეულებრივი გამოცოცხლება ეტყობოდა: მთავრობამ და კონგრესმა ახალი ჯვაროსანთა ლაშქრობა გამოაცხადეს. საშუალო საუკუნეების ჯვაროსნებისაგან განსხვავებით, ახლანდელ ჯვაროსნებს სრულებით არ სჭირდებოდათ შორეულ პალესტინაში გამგზავრება და არც „ურწმუნოთა" წინააღმდეგ იყო ეს ლაშქრობა მიმართული, როგორც იმ შორეულ წარსულში. არა, მას ადგილობრივ ბოროტმოქმედებათა აღმოფხვრა ჰქონდა მიზნად დასახული. ოფიციალურად ასედაც ეწოდებოდა: „ბოროტმოქმედებათა წინააღმდეგ მიმართული ჯვაროსანთა ლაშქრობა".

ასეთი ლაშქრობის აუცილებლობა უკვე კარგა ხანია რაც მომწიფდა მთელს ამერიკაში — ყველა მის ორმოცდავრვა შტატში. ამ ქვეყანაში ყოველ 21 წამში რაიმე სერიოზული ბოროტმოქმედება ხდება, ყოველ 44 წუთში — წინასწარ განზრახული მკვლელობა, ყოველ 9 წუთში გაძარცვა, ყოველ 100 წამში — მსხვილი ქურდობა, ყოველ 36 წამში — წვრილი ქურდობა. მოკლედ რომ ვთქვათ, ამერიკაში ქურდობა, გაძარცვა და მკვლელობა დღეებითა და, თუნდაც, საათობითაც კი არ ისაზღვრება, არამედ წუთობითა და წამობით.

მაგრამ ბოროტმოქმედების წინააღმდეგ მიმართული ლაშქრობა სინამდვილეში იყო ლაშქრობა ბოროტმოქმედების დასაცავად.

თვით „მოუსყიდველი" ამერიკული პრესა, და ამდენადვე „მოუსყიდველი" რადიო ვერ მალავდნენ იმ ფაქტს, რომ ეს საშუალო საუკუნოებრივი მასკარადი ერთნაირად აუცილებელი იყო, როგორც სენატორებისათვის, ისე განგსტერებისათვის, უფრო მეტად კი — სენატორებისათვის, რათა უკეთესად ყოფილიყო შენიღბული ის კავშირი, რომელიც ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის უმაღლესი წრის წარმომადგენელთა და ბოროტმოქმედთა სამყაროს შორის არსებობს.

პრეზიდენტმა კულიჯმა ერთხელ როგორღაც თქვა, დედაქალაქი უნდა ასახავდეს ამერიკის სულსა და გულსაო. შეიძლება ეს ასეც არის. ვაშინგტონი მართლაც ასახავს კულიჯისა და ტრუმენის, ტომ პენდერგასტისა და ალ-კაპონეს ამერიკის სულსა და გულს. აქ, ვაშინგტონში, თანახმად ოფიციალური ამერიკული სტატისტიკისა 2,5 პროცენტით უფრო მეტია მკვლელი, ვიდრე ნიუ-იორკში, და 40 პროცენტით მეტი — ვიდრე ჩიკაგოში.

ახლა დავუბრუნდეთ 1950 წლის ზაფხულის იმ ცხელ დღეს, როცა ამერიკის სენატის ამბიონიდან გამოცხადებული იქნა „ჯვაროსანთა ლაშქრობა". ამ დღეს ჩასუქებულმა, გაოფლიანებულმა და სიცხისაგან სუნთქვაშეკრულმა სენატორებმა, თვით ტრუმენის ნებართვითა და კურთხევით, შექმნეს სპეციალური კომისია ბოროტმოქმედებათა წინააღმდეგ საბრძოლველად. კომისიაში ხუთი სენატორი შედიოდა კეფოვერის თავმჯდომარეობით. კომისიას ყველაფრის კვლევა-ძიება როდი ევალებოდა, — მას შეეძლო მხოლოდ აზარტული თამაშით გამოწვეულ ბოროტმოქმედებათა შესწავლა. უნდა გვეფიქრა, რომ ასეთი კუდმოკვეცილი რწმუნებებით კომისია თავის საქმიანობაში შორს ვერ წავიდოდა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, კეფოვერი თავისი კოლეგებით დიდის ამბით დადიოდა მთელს ამერიკაში და განგსტერებთან და განგსტერების მიერ მოსყიდულ შერიფებთან გულითადი საუბრით აგროვებდა „მასალებს" სენატისათვის მოხსენების გასაკეთებლად.

საშუალო საუკუნეების ჯვაროსანთა მსგავსად, ვაშინგტონელი რაინდები — „უშიშარნი და უმწიკვლნი" — რამდენიმე კვირით ადრე, თავაზიანად აცნობდნენ პრესის საშუალებით თავიანთ მოწინააღმდეგეებს, რომ ამა და ამ დროს, ამა და ამ ქალაქში ჩავიდოდნენ. ამრიგად, სხვადასხვა ყალიბის განგსტერებს სავსებით საკმაო დრო ქონდათ თავიანთი „საქმეების" წესრიგში მოსაყვანათ, და როცა კეფოვერის კომისია დიდის ამბით შედიოდა ქალაქში, განგსტერები „ყოველმხრივ შეიარაღებულნი" ხვდებოდნენ მას. კომისიის ღია და დახურულ სხდომებზე უამრავი ფოტოგრაფების, კინოოპერატორებისა და რეპორტიორების თანდასწრებით მიმდინარეობდა ერეტიკოსების დაკითხვა — კომისიის მთავარი იურისკონსულტი აძლევდა შეკითხვებს და ის განგსტერები, რომლებმაც პატივი დასდეს კეფოვერს და სხდომაზე გამოცხადება ინებეს, პასუხობდნენ ამ შეკითხვებზე, მაგრამ თავის პასუხებში მეხსიერების გასაოცარ სიჩლუნგეს იჩენდნენ — მათ აღარაფერი ახსოვდათ. თუმცა, უნდა ითქვას, რომ ეს გულმავიწყობა ხელსაყრელი იყო როგორც „ბრალდებულთათვის", ისე ბრალმდებელთათვისაც...

მაკგრაპი მაკგრაპის წინააღმდეგ

როცა პრეზიდენტმა ტრუმენმა კეფოვერის კომისიის წევრები მიიღო, მათ იუსტიციის სამინისტროს სრული მხარდაჭერა აღუთქვა. და მართლაც, ჯვაროსანთა ლაშქრობას, ამერიკული პრესის ცნობით, სათავეში ჩაუდგა „კანონის უმაღლესი წარმომადგენელი" — ამერიკის შეერთებული შტატების იუსტიციის მინისტრი ჰოვარდ მაკგრატი*. მაგრამ მართლმსაჯულეაი 'დათოგუხელი მახვილი არ აელვარებულა უმაღლესი ჯვაროსნის მაკგრატის ხელში, რადგან, ერთ-ერთი ამერიკული გაზეთის ცნობით, „გზები, რომლითაც ბოროტმოქმედებანი და მექრთამეობა ვრცელდება ამერიკაში, უშუალოდ თვით მაკგრატთან იყრიან თავსო".

ამერიკის შეერთებულ შტატებში ამას წინათ გამოვიდა რობერტ ალენისა და ვილიამ შენონის წიგნი „ტრუმენის კარუსელი", რომელიც მაკგრატისა და ბოროტმოქმედთა სამყაროს ურთიერთ კავშირზე ლაპარაკობს. მაკგრატის სამშობლო — შტატი როდ-აილენდი, სადაც მას, ვიდრე ამერიკის შეერთებული შტატების იუსტიციის მინისტრი გახდებოდა, თანამმდევრობით ეჭირა ფედერალური პროკურორის, გუბერნატორისა და სენატორის პოსტები, ერთ-ერთი ყველაზე უკეთესი თავშესაფარია ბოროტმოქმედთათვის. განგსტერიზმის გაქანება როდ-აილენდში, და განა მარტო როდ-აილენდში, მჭიდროდ არის დაკავშირებული იმასთან, თუ რა გზით გამდიდრდა თვით მაკგრატი. 1940 წელს, როცა მაკგრატი ფედერალური პროკურორი იყო, მის პირად ანგარიშზე ბანკში სულ რაღაც 25 ათასი დოლარი ირიცხებოდა. ცხრა წლის შემდეგ კი, როცა მან გუბერნატორობა გაიარა და იუსტიციის მინისტრი გახდა, მის პირად ანგარიშზე უკვე ოთხი მილიონი დოლარი გაჩნდა.

ამბობენ, რომ ფულს სუნი არ ასდისო, მაგრამ მაკგრატის მილიონებს აშკარად, საჯინიბოს სუნი აქვს. „ტრუმენის კარუსელის" ავტორები წერენ, რომ მაკგრატი ფლობს ერთ-ერთი უდიდესი იპოდრომის აქციებს. გარდა ამისა, იგი „საჩუქრებს" იღებს განგსტერებისაგან, რომლებიც დოღის არალეგალურ ტოტალიზატორებს განაგებენ. მინისტრებს შემოსავლის კიდევ სხვა წყაროც გააჩნიათ — პოლიტიკა. დღევანდელ ამერიკაში პოლიტიკა, როგორც ცნობილია, ბიზნესის ყველაზე უფრო შემოსავლიანი სახეა. 1946-1949 წლების განმავლობაში ჰოვარდ მაკგრატი გაცხოველებულ ვაჭრობას ეწეოდა განგსტერებთან: განგსტერებისაგან იღებდა დოლარებსა და არჩევნების დროს — ხმებს, სამაგიეროდ ფართო გასაქანს აძლევდა ამ თავისი კონტრაგენტების კერძო ინიციატივას.

ასეთია მთავარი ვაშინგტონელი „ჯვაროსნის" კოლორიტული ბიოგრაფიის ცალკეული ეპიზოდები. ახლა გასაგებია, თუ რატომ არ ეშინია განგსტერ ჰოვარდ მაკგრატს იუსტიციის მინისტრის ჰოვარდ მაკგრატისა.

ბოროტმოქმედთა სინდიკატი

„გაალვიძეთ სმიტსის ინსტიტუტის მუმია, აჩვენეთ ძველ ეგვიპტურ ენაზე თარგმნილი დღევანდელი ვაშინგტონური გაზეთების ნომრები — და თანამედროვე, ნაირ-ნაირ და მისთვის გაუგებარ ამბებში, იგი სულ მალე მიაგნებს ერთ, მისთვის კარგად ცნობილ ამბავს. ცხადია, მკვდრეთით აღმდგარი მუმია ბევრ რამეში ვერ გაერკვევა, როგორიცაა, მაგალითად, ტოტალიზატორის ტელეგრაფი, მაგრამ იგი უდავოდ იმწამსვე იცნობს ისეთ საგნებს, როგორიცაა კამათელი, რულეტი, ან ლოტარეა".

ეს ციტატა აღებულია შავრაზმული ამერიკულ ჟურნალ „ლაიფიდან". ამ სტრიქონების ავტორი ერნესტ ჰავემანი ცდილობს დაამტკიცოს, რომ „გემბლინგი" — აზარტული თამაშობანი — ჯერ კიდევ ხეოფსისა და რამზეს დიდის დროში არსებობდა, და მაშინაც კი ფარაონები უძლურები აღმოჩნდნენ აღმოეფხვრათ ეს ძველი ეგვიპტური უბედურება. აქედან ერნესტ ჰავემანს თავისებური დასკვნა გამოყავს: თუ ყოველისშემძლე ფარაონებმა, რომლებიც ამასთანავე არ მეგობრობდნენ რულეტის უძველეს მეფეებთან, ვერაფერი გააწყეს „გემბლინგის" წინააღმდეგ, ახლა მით უმეტეს ვერაფერს დააკლებენ მას თანამედროვე ამერიკელი „ფარაონები", რომელთა უმრავლესობა ბოროტმოქმედთა სინდიკატისაგან გასამრჯელოს იღებს. „ბოროტმოქმედთა სინდიკატი", ანდა, როგორც მას „ლაიფი" და სხვა ბურჟუაზიული გამოცემანი ზრდილობიანად უწოდებენ — „თამაშობათა ნაციონალური მრეწველობა" ისეთივე განუყრელი ნაწილია „ამერიკული ყოფა-ცხოვრების", როგორიც ამერიკის შეერთებული შტატების უმსხვილესი ტრესტები და მონოპოლიები. მართალია, ეს ფირმა ისეთი დარბაისელი ფირმებისაგან განსხვავებით, როგორიცაა „ჯენერალ მოტორს", „ჯენერალ ელექტრიკ", „იუნაიტედ სტეიტს სტილ კორპორეიშნ" და სხვ. ოფიციალურად არაა რეგისტრირებული ნიუ-იორკის, ჩიკაგოს, ბოსტონის და სხვა ამერიკის ქალაქების ბირჟებზე; გარდა ამისა, ეს სინდიკატი არ მდებარეობს უოლ-სტრიტზე, როგორც სხვა არანაკლებ ბოროტმოქმედი გაერთიანებანი, მაგრამ მიუხედავად ყოველივე ამისა, ის მაინც არსებობს...

„ბოროტმოქმედთა სინდიკატის" შემოსავალი ასტრონომიულ ციფრებს აღწევს. ამ სინდიკატის ერთ-ერთმა მეთაურმა ჯეკ გუზიკმა, რომელიც დაატანმრეს, როგორც მკვლელობაში ეჭვმიტანილი, განაცხადა: „მე გაცილებით მეტი მაქვს ნაღდი ფული, ვიდრე როკფელერს, ჩვენს შორის კი ოცამდე ისეთებიც არიან, რომელთაც ჩემზე მეტი აქვთ. ასე რომ, ჩვენ ხელს ვერავინ გვახლებს".

---

* ამჟამად მაკგრატი ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო აპარატში მექრთამეობის გამოძიებასთან დაკავშირებით გადაყენებულია.

გიგანტური ურჩხულის მსგავსად „ბოროტმოქმედთა სინდიკატი“ თავისი თათებით ჩასჭიდებია დღევანდელ ამერიკას. საკმარისია ითქვას, რომ მთელი ამერიკის შეერთებულ შტატებში აზარტულ თამაშობაში ჩართულია 50 მილიონამდე ადამიანი. ყოველწლიურად ამერიკაში სანაძლეო იდება 30 მილიონ დოლარზე. აი როგორ ხდება ეს:

დილადილობით, როცა ნიუ-იორკის, ჩიკაგოს, სან-ფრანცისკოს, ლოს-ანჟელოს და ამერიკის ასეული სხვა ქალაქის ქუჩები სამუშაოზე მიმავალი ხალხით ივსება, მათ წინ ეგებება გაზეთის გამყიდველების მთელი არმია.

— „დეილი რეისინგ ფორმ“!, „მორნინგ ტელეგრაფ“!

„მისის პარკინსონმა, ბრუკლინელმა დიასახლისმა ოცი დოლარით ბედი სცადა ციფრზე 724-ზე და 10.000 დოლარი მოიგო!— “ გაჟყვირიან გაზეთის გამყიდველები.

„დეილი რეისინგ ფორმ“, „მორნინგ ტელეგრაფ“ — ამ გაზეთების ციტირება არასოდეს არ ხდება ხოლმე, მათი არსებობის შესახებ ევროპასა და სხვა ქვეყნებში, გარდა ამერიკისა, არც კი იციან, მაგრამ ეს ის გაზეთებია, რომლებიც მილიონნი ტირაჟით გამოდიან, ესე იგი ისინი ორჯერ უფრო მეტი საღდება, ვიდრე, მაგალითად, „ნიუ-იორკ ტაიმს“ „ჩიკაგო დეილი ნიუს“ და სხვ.

ამ გაზეთებში ქვეყნდება ყველაფერი ის, რაც აზარტულ თამაშს ეხება—დოღის, ბეისბოლის, ფეხბურთის და კალათბურთის მატჩების, კრივის, ძაღლებისა და ხოჭოების რბენის, მამლების ჩხუბის, ერთი სიტყვით, ამერიკული სპორტის ყოველგვარი სახეობის პროგრამები და შედეგები, აგრეთვე, ლოტარეის გათამაშების შედეგები. კომპანია, რომელიც ამ ორ გაზეთს უშვებს, ბეჭდავს აგრეთვე, დიდძალ წიგნებსა და ბროშურებს, რომლებიც რეკლამას უკეთებენ აზარტულ თამაშს და „რჩევა-დარიგებას“ იძლევიან, თუ რა გზით შეიძლება ნამდვილად მოგების მიღწევა და სწრაფად გამდიდრება“.

მთელი ეს მრავალტირაჟიანი მაკულატურა თავგზას უბნევს ამერიკელებს და ძალაუნებურად მიყავს ტოტალიზატორთან სანაძლეოს დასადებად. მილიონობით ადამიანები აგებენ მთელ თავის ქონებას და მილიონები გროვდება ამერიკის ერთი მუჭა „ბუკმეკერების“ * ხელში. ამერიკის ყოველ კაფეში, თუ დანსინგში, ყოველ აფთიაქსა, თუ სასაუზმეში ჰკიდია ავტომატი, რომელსაც აქვს წარწერა: საკმარისია ამ ავტომატში ჩააგდოთ რამდენიმე ცენტი და სულ ადვილი შესაძლებელია მოიგოთ უამრავი დოლარი, მაგრამ ცენტები უგზოუკვლოდ ჰქრებიან ავტომატის ხახაში, და დოლარებს ცენტის გამღები კი არ იგებს, არამედ ავტომატის მეპატრონე.

სანაძლეოს დადება ამერიკაში შეიძლება თუნდაც იმაზე, თუ რა ამინდი იქნება, მაგალითად, ფეხბურთის მორიგი მატჩის დაწყების წინ. თითქოს აქ შეუძლებელი უნდა იყოს რაიმე ყალთაბანდობა, მაგრამ სინამდვილეში ასეთი სანაძლეოებით დიდძალ ფულს აკეთებენ იმავე „ბოროტმოქმედთა სინდიკატის“ მეფეები. ეს გასაკვირველიც არაა: „ამინდის“ შემქმნელები ხომ თვითონ არიან!

გარდა აზარტული თამაშისა, „ბოროტმოქმედთა სინდიკატში“ შედის განგსტერების სპეციალური ორგანიზაცია, ეგრეთ წოდებული „მკვლელთა აქციონერული კომპანია“. პროგრესული ინგლისელი ჟურნალისტი დერეკ კარტენი თავის წიგნში „ასეთია ამერიკა“ წერს, რომ ეს კომპანია ნიუ-იორკში მუშაობს და მკვლელებს აქირავებს: ჩვეულებრივი მოქალაქის მკვლელს აქირავებს 500 დოლარად, პოლიტიკური მოღვაწის მკვლელის ქირა კი ოცი ათასს აღწევს, და ზოგჯერ უფრო მეტსაც.

... ამრიგად ბოროტმოქმედთა სინდიკატი არსებობს.

ეს არც ერთ ამერიკელს არ ეეჭვება, გარდა იმ პირებისა, რომელთაც „სამსახურის მოვალეობის“ გამო დაეჭვება ევალებათ. ჩვენ მხედველობაში გვყავს ამერიკის შეერთებული შტატების იუსტიციის მინისტრი იგივე ჰოვარდ მაკგრატი და მისი კოლეგა სენატორი კეფოვერი. ეჭვის თვალით უყურებენ ისინი ყოველივე ამას და პერიოდულად აქვეყნებენ გახცხადებას, რომ მათ აქამდე ვერ აღმოუჩენიათ „ბოროტმოქმედთა სინდიკატის“ არსებობის დამამტკიცებელი საბუთები.

„ბანკირი წარმოშობს ბანდიტს“,—წერდა მაქსიმ გორკი. სწორედ ამის დამტკიცებას სურთ „სამსახურის მოვალეობის გამო დაეჭვებულთ“—მაკგრატსა და კეფოვერს — ამერიკული იმპერიალიზმის ამ დაქირავებულ მოსარჩლეებს.

რესპუბლიკის ერთ-ერთი მეფე

პამფლეტში „რესპუბლიკის ერთ ერთი მეფე“ მაქსიმ გორკის მოყავს თავისი საუბარი სიმბოლიურ ამერიკელ ბიზნესმენთან.

— მთავრობა არ გიშლით ხელს?—მორიდებით შეეკითხე მას.

— მთავრობა?—გაიმეორა მან და ჩაფიქრდა, თან მაგრად ისრესდა თითებით შუბლს. მერე, თითქოს რაღაც გაახსენდაო, და თავი დააქნია. — აჰა... ეს ისინი რომ არიან... ვაშინგტონში? არა, ისინი არ გვიშლიან ხელს. ისინი ძალიან გაკვეთილნი არიან... მათ შორის ზოგიერთები ჩემი კლუბიდანაც არიან.

ვაშინგტონელ მეუფეთა შესახებ ანალოგიური აზრი აქვს მეორე ამერიკელ მეფეც,—განგსტერი ფრენკ კოსტელო.

ამას წინათ ფრენკ კოსტელომ შესაძლებლად ჩათვალა მისულიყო კეფოვერის კომისიაში. ჩავიდა ვაშინგტონში და, როგორც ეს დიდკაცს შეჰფერის, ცოტა დაიგვიანა სხდომაზე.

ამერიკის შეერთებული შტატების სენატის ხუთი წევრი მოთმინებით ელოდებოდა, თუ როდის გაათავებდა საუბრის განგსტერი.

მოკლე, გულითადი საუბრის შემდეგ, რომელსაც ოფიციალურად „დაკითხვა“ ეწოდება, კოსტელო გამოემშვიდობა კომისიის წევრებს და სენატის ერთ-ერთი მოხელე აჩქარებით წავიდა გასასკვლესაკენ, რათა მანქანა გამოუძახა განგსტერისათვის.

— სენატორები შესანიშნავი ადამიანები არიან. ისინი კარგად მეპყრობოდნენ, — განაცხადა კოსტელომ, როცა სენატიდან მიდიოდა.

ვინ არის ფრენკ კოსტელო?

მისი კარიერა დაიწყო ეგრეთ წოდებულ „მშრალი კანონის“ ეპოქაში. იმ ხანებში მან შექმნა „აქციონერული საზოგადოება“, რომელიც კონტრაბანდისა და ალკოჰოლური სასმელების გავრცელებას ეწეოდა. გარდა ამისა, იგი „ბოროტმოქმედთა სინდიკატის“ ერთ-ერთი შემქმნელია.

1929 წელს იგი ატლანტიკ-სიტში განგსტერების „ყრილობის“ მოწვევის ერთ-ერთი ინიციატორია. ამ „ყრილობამ“ საფუძველი ჩაუყარა ამერიკის შეერთებულ შტატებში ორგანიზებულ ბოროტმოქმედებას.

„მშრალი კანონის“ გაუქმების შემდეგ, კოსტელომ კონტრაბანდისტობა მიატოვა და სამორინო და საროსკიპო სახლების მეპატრონე გახდა.

ამჟამად ფრენკ კოსტელო „ბოროტმოქმედთა სინდიკატს“ მეთაურობს, რომლის ყოველწლიური შემოსავალი 2 მილიარდ დოლარს აღწევს. ამ თანხის 20 პროცენტი (400 მილიონი დოლარი) ქრთამებსა და სახელმწიფო მოსამსახურეთა მოყიდვაზე იხარჯება. კოსტელო მილიარდებს ატრიალებს, ამის გამო იგი „საზოგადოების“ პატივცემულ წევრად და ნიუ-იორკის გამოჩენილ პოლიტიკურ მოღვაწედ ითვლება.

იგი საქველმოქმედო საზოგადოების „დახმარების არმიის“ ვიცე-პრეზიდენტად დასვეს. ამ საზოგადოებას ჯაშუშურ-პროვოკატორული მოღვაწეობაც ევალება.

ამრიგად, განგსტერი კოსტელო ერთი ხელით ძარცვავს ამერიკელ უბრალო ადამიანებს, მეორეთი მოწყალებას აძლევს იმ ანგარიშით, რომ თვითეული ნაძარცვი დოლარიდან საქველმოქმედო მიზნით მხოლოდ ერთი ცენტი გაიღოს.

გორკის მილიონერის მსგავსად, კოსტელოს შეუძლია დაიტრაბახოს, რომ იმ „კეთილი გულის“ ადამიანთა შორის, რომლებიც ხელისუფლებას სათავეში უდგანან, ზოგიერთი მისი კლუბელია. ასე, მაგალითად, გასული წლის იანვარში, კოსტელომ საქველმოქმედო სადილი გამართა, რისთვისაც ნიუ-იორკის ერთ-ერთი საუკეთესო კაფე შეარჩია. ამ სადილზე მასპინძლის გვერდით ისხდნენ... ნიუ-იორკის შტატის უმაღლესი სასამართლოს წევრები—ხუთი დარბაისელი ამერიკელი.

ასეთია ფრენკ კოსტელო—რესპუბლიკის ერთ-ერთი მეფე მრავალთა შორის.

ყველაზე მდიდარი პოლიციელი

პოლიციის კაპიტან დანიელ ჯილბერტს, მეტსახელად „ჩიკაგოელ ტობის“ მთელი ამერიკა იცნობს. მართალია, „ჩიკაგოელ ტობის“ არა აქვს მოხვეჭილი შერლოკ ხოლმსისა, ანდა ნატ პინკერტონის სახელი, მის სამსახურეობრივ სიაში თქვენ ვერ ნახავთ ვერც ერთ მის მიერ გახსნილ მსხვილ მკვლელობას, ან ჩახლართული საქმის გამოძიებას, ანდა განგსტერების იმ უამრავ ბანდიტებიდან, რომლებიც შიშს ზარს სცემენ მთელ ჩიკაგოს, თუნდაც ერთი ბანდის შეპყრობის მაგალითს პირიქით, 16 წელიწადი იყო იგი სისხლის სამართლის საქმეთა მთავარ გამომძიებლად და მთელი ამ 16 წლის განმავლობაში ვერც ერთხელ ვერ იპოვა მიზეზი ჩიკაგოს განგსტერების უგვირგვინო მეფის ალ-კაპონეს ბანდის თუნდაც ერთი წევრის, ყველაზე უსუსური ბანდიტის დასაპატიმრებლად. და მაინც კაპიტან დანიელ ჯილბერტს მთელი ამერიკა იცნობს. შტატების მკვიდრნი „ჩიკაგოელ ტობის“ იცნობენ, როგორც მთელ ქვეყანაზე ყველაზე მდიდარ პოლიციელს. ვინ მოთვლის რა ხრიკებით არ შეიძინა მან უზარმაზარი რანჩო შტატ არიზონაში და რამდენიმე მილიონი თავის პირად ანგარიშზე შეიტანა ბანკში. მაგრამ მისი შემოსავლის ძირითადი წყარო „წვრილ-წვრილი“ სპეკულაციები კი არ არის, არამედ სულ სხვა რამე. საქმე ისაა, რომ პოლიციის ეს კაპიტანი ჩიკაგოელი გრძელი დანის რაინდების სამსახურში იმყოფება. განგსტერები „ტობის“ უხდიან ქირას იმისათვის, რომ მან ხელი არ შეუშალოს მათ ბიზნესის კეთებაში. „ტობიც“ „სინდისიერად“ იქცევა: ჩიკაგოს საპოლიციო სამმართველოში განგსტერებისაგან ჯერ არც ერთი საჩივარი არ შესულა კაპიტან ჯილბერტზე.

ამრიგად, განგსტერები კმაყოფილნი არიან ჯილბერტით, და ჯილბერტი კმაყოფილია განგსტერებით, ილინოისის შტატის დემოკრატიული პარტიის ბოსები კი ჯილბერტთაც კმაყოფილნი არიან და განგსტერებითაც. ბოსებმა ჯილბერტი წამოაყენეს დემოკრატიულ პარტიიდან ჩიკაგოს შერიფის პოსტზე. არჩევნებში ხმების მიღებაზე ჯილბერტს საზრუნავი არაფერი აქვს—საქმის ამ მხარეს მოაგვარებენ მისი მადლიერი ჩიკაგოელი ბანდიტები.

„ქვეყანაზე ყველაზე მდიდარი პოლიციელი“ ერთადერთი „ტობი“ როდია შეერთებულ შტატებში. ამერიკის ყოველ, ცოტად თუ ბევრად მსხვილ ქალაქში შეხვდებით ასეთ დემოკრატ, ან რესპუბლიკანელ ჯილბერტებს, მეტად თუ ნაკლებად მდიდარი, კაპიტანის, ან პოლკოვნიკის წოდებით. ეს ნურც გაგიკვირდებათ: ნიუ-იორკის მსხვილი განგსტერის ჰარი გროსის გულახდილი თქმით „განგსტერები ვერ იმოქმედებენ პოლიციის მფარველობის გარეშე“.

ამის საილუსტრაციოდ საკმარისია დავასახელოთ ის გრანდიოზული სკანდალი, რომელიც ამას წინათ მოხდა ნიუ-იორკში.

ეს ბინძური ისტორია არ ამოტივტივდებოდა, რომ ნიუ-იორკში მერის პოსტზე — ამ ფრიად შემოსავლიან ადგილზე, სამ ადამიანს ერთდროულად არ სჭეროდა თვალი. ეს სამნი იყვნენ: ნიუ-იორკის ყოფილი მერი ო'ბრაიერი, რესპუბლიკელი ფერდინანდ პეკორა და „დამოუკიდებელი“ იმპელლიტერი. მსგავსად მარკ ტენნის მოთხრობის („როგორ მირჩევდნენ გუბერნატორად“) გმირებისა, ამ ღირსსახსოვარმა ადამიანებმა ამერიკის შეერთებულ შტატებში ახლახან ჩატარებული არჩევნების დროს, მერის თბილი ადგილისთვის ბრძოლაში, ერთმანეთს პრესის გზით მოაგონეს ერთიმეორის ბიოგრაფიებიდან ისეთი ინტიმური მხარეები, რომლებითაც გამოამჟღავნეს განგსტერებთან თავიანთი კავშირი. საქმე იქამდე მივიდა, რომ ბრუკლინის (ნიუ-იორკის რაიონი) დიდი ჟიური შეუდგა იმის

* სათამაშოთა დაწესებულების მეპატრონეები.

ქუთაისის თეატრში

შალვა დადიანი

გოგოლის გარდაცვალებიდან 100 წლისთავის აღსანიშნავად ქუთაისის ლადო მესხიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრმაც დადგა უკვდავი „რევიზორი“.

მე ვიცოდი და ვიცი, რომ ქუთაისს ნიჭიერი დრამატული კოლექტივი ჰყავს, მინახავს მათი კარგი სპექტაკლებიც. მაგრამ გამოვტეხილვარ, „რევიზორის“ წარმოდგენაზე ცოტა დაეჭვებული მივდიოდი.

ეს უფრო იმიტომ, რომ „რ ე ვ ი ზ ო რ ი“ რთული პიესაა. ბევრი მაცდუნებელი ადგილია პიესაში და ამას შეიძლება გადაჰყვეს რეჟისურაც და შემსრულებლებიც: შეიძლება ჭარბად მოიხმარონ გროტესკული და ბუფონადური ხერხები, ან მეორე უკიდურესობა: შეიძლება თითქო თავი შეიკავონ, სპექტაკლი დუნე გამოვიდეს და ასე წარმოიდგინეთ—მოსაწყენიც.

ქუთაისი ასცდა ორივ ამ საშიშროებას „რევიზორის“ წარმოდგენისას.

რეჟისორა თავის სიმაღლეზე დგას. დამდგმელს, რეს. სახალხო არტისტს დოდო ანთაძეს უხვად აქვს მოცემული მახვილად მოფიქრებული მიზანსცენები. განსაკუთრებით უკანასკნელ მოქმედებაში, მომლოცავების სცენა, სადაც, სხვათა შორის, გამოყვანილნი არიან ლიულიკოვი (ი. სიხარულიძე), რასტაკოვსკი (ან. მურუსიძე, რეს. დამსახ. არტისტი), კარობკინი (კ. გიორგობიანი), რომელთაც ზოგჯერ „რევიზორის“ დამდგმელები ივიწყებენ და სცენაზე არ გამოჰყავთ.

აღსანიშნავია, რომ ამ სპექტაკლში პატარა, ეპიზოდურ როლებს ასრულებენ დასის თვალსაჩინო ძალები.

რეჟისორის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ გარდა ეპიზოდურ როლების წამყვან ძალთა შორის განაწილებისა, სხვა საპასუხისმგებლო როლებიც მიგნებულად არის დასის ახალგაზრდებში განაწილებული.

მაგრამ სანამ როლების ამსრულებლებზე ვიტყოდე ორ სიტყვას, უნდა აღვნიშნო ახალგაზრდა, უსათუოდ ნიჭიერი მხატვრის დ. თაყაიშვილის ნამუშევარი. კაცმა რომ თქვას „რევიზორში“ მხატვარს თითქო არც ისე დიდი გასაქანი აქვს, სულ ორად ორი პავილიონია, მაგრამ ამხ. თაყაიშვილს გარდა იმისა, რომ ეპოქის, როგორც იტყვიან „სული აქვს დაცული“, დიდის გემოვნებით და ფერადოვნებით აქვს მოცემული გოროდნიჩის მისაღები ოთახი, განსაკუთრებით აღსანიშნავია ხლესტაკოვის სამყოფლად განკუთვნილი ტრაქტირის კიბის ქვეშა ნომერი, ოვალურ პაწია ფანჯრით, რომელიც უნდა ვიფიქროთ, რომ ტრაქტირის ალაყაფის კარებზე არის მოთავსებული.

მშვენიერია ქალების კაბები, ესეც ეპოქის შესაფერი, აჭრელებული, მაგრამ დამაჯერებელი.

მოლიანად წარმოდგენა მწყობრია, ანსამბლიანი. ყველა შემსრულებელს თავისი ტიპური სახე აქვს. მათ შორის კი გამოირჩევიან ანა ანდრეევნა (თამ. ლორთქიფანიძე), ზემლიანიკა (ია. ხვიჩია), ბობჩინსკი (ალ. ჩიქვინიძე), ოსიპი (ვ. ჩხეიკვაძე, რეს. დამსახ. არტისტი)... პიესის მთავარი გმირები—გოროდნიჩი (ვ. გვენცაძე) და ხლესტაკოვი (გრ. კოკელაძე).

მე სპექტაკლის რეცენზიას არ ვწერ, რომ ზემოხსენებულ არტისტების შესრულების ანალიზი გავაკეთო. მხოლოდ ჩემ შეხებებზე გიზიარებთ, რაც უფრო ჩამრჩა ხსოვნაში.

თ. ლორთქიფანიძემ გონივრული შესრულებით გამოხატა უკვე ხანში შესული, ძაგრამ მოკეკლუცი და თან ყოყლოჩინა ფუქსავატი ქალი ანა ანდრეევნა.

ალ. ჩიქვინიძე ბობჩინსკის როლში, გადაუჭარბებლად გვიხატავს ამ მოჩერჩეტო კაცუნას, რომელსაც ნელის იუმორით დასცინის.

ზემლიანიკა (ხვიჩია), თავშეკავებულად ანსახიერებს დაკისრებულ როლს და მშვენიერია, დამაჯერებელია მისი მუნჯური სცენა სავარძელთან, როდესაც გოროდნიჩის მისაღებ ოთახში სხვები ლაპარაკში არიან გართულნი, ამხ. ხვიჩია (ზემლიანიკა) ეტყობა თავისთვის წარმოიდგენს, რომ მოვიდა დიდი კაცი და თითქო რეპეტიციას აკეთებს ამისას თუ ის, სამადლო დაწესებულებათა მზრუნველი, როგორ წარუდგება მას.

ახლა ხლესტაკოვი, ამხ. გრ. კოკელაძე. მე დიდად მომხიბლა მისმა ხალასმა არტისტულმა ნიჭიერებამ. სხვა როლებშიაც მინახავს ეს მახასიათებელი და მუდამ თავისებური, დასახსომებელი სახეები აქვს შექმნილი, მაგრამ ხლესტაკოვის რთული როლი კი მისთვის დიდ შრომასა და დაკვირვებას მოითხოვდა. უნდა ითქვას, რომ მთავარ მომენტებში კარგია. მარჯვედ აქვს გადმოცემული პირველი დაფრთხობა გოროდნიჩის წინაშე და შემდეგ კი გათამამება ქრთამის აღების დროს და ქალებთან გაარშიყების სცენაში. ბობჩინსკისთან კი მისი მიმიკა უთუოდ მაღალ დონეს აღწევს. როდესაც ბობჩინსკი ეუბნება უთხარით იქ პეტერბურგში თქვენს ნაცნობებს, რომ ამა და ამ ქალაქში ცხოვრობს პიოტრ ივანიჩ ბობჩინსკიო, როგორ თანდათან სწორდება წელში ხლესტაკოვი — კოკელაძე, შემდეგ როცა უხსენებს ბობჩინსკი მინისტრებსაც გადაეცეიო, როგორ გამოიჭიმება და როცა უხსენებს ხელმწიფეს, როგორი სიამაყე და შეუვალობა დაეტყობა სახეზე. იტყვით, რომ ეს სწორედ ასე იქნებოდაო, ხლესტაკოვი სწორედ ესეთ პოზებს მიიღებდა, ესეთ მიმიკასო. კარგი აგრეთვე, როცა ვაჭრებთან ლაპარაკში უკან-უკან იხევს თითქო შეუშინდა ხალხის რისხვასო. ეს რეჟისორისა და შემსრულებლის მახვილ გონებას მიეწერება. ცხადია, ამხ. კოკელაძე ამ როლსაც უფრო გააშალაშინებს და... იფიქრებს თავის ხმაზე. ამჟამად სუსტი აქვს, მაგრამ ამას... ვარჯიშით მოევლება.

მე, აგრეთვე, მოხიბლული ვარ ამხ. გვენცაძის გოროდნიჩით. მიხრა მოხრა, საქციელი, გაიძვერობა და პრაქტიკული მეშჩანური ჭკუა. აი რითი არის შემოსილი თავიდანვე ამხ. გვენცაძის გოროდნიჩი. და ეს მთავარი ხაზი მისი შემოქმედებისა არსად არ ნელდება, სულ ფინალამდე მიდის შეურყევლად.

საერთოდ უნდა ვთქვა, რომ ქუთაისის თეატრმა „რევიზორის“ დადგმით მაღალხარისხოვანი სპექტაკლი მოგვცა.

გამორკვევას, თუ რა კავშირი არსებობდა ნიუ-იორკის პოლიციასა—ერთის მხრივ და განგსტერებსა და „ბუკმეკერებს“ შორის — მეორეს მხრივ.

მალე ნიუ-იორკის პროკურორის მაკდონალდის მაგიდაზე გაჩნდა პაპკა, რომელიც შეიცავდა 1950 წლის 14 სექტემბერს ორი განგსტერის მიერ ტელეფონით გამართული საუბრის ჩანაწერს. როგორც ამერიკული გაზეთები გვაცნობებენ, ამ ჩანაწერებიდან შემდეგი შეიქნა ცნობილი:

ჰარი გროსს, ბრუკლინის ბუკმეკერების სინდიკატის მეთაურს, რომლის შემოსავალს წელიწადში 20 მილიონი დოლარი შეადგენს და რომელსაც კარგი ჩაცმა და განცხრომით ცხოვრება უყვარს, დაურეკა მისმა ერთმა თანაშემწემ ვინმე კარპმა, რომელიც სისლის დამნაშავეთა შორის „არტის“ მეტსახელით იყო ცნობილი. კარპმა შესჩივლა თავის პატრონს, რომ მას აეკიდა ერთი პოლიციელი და მოითხოვს მისგან ქრთამს 300 დოლარს, წინაღმდეგ შემთხვევაში დაპატიმრებით ემუქრება. გროსმა კარპს ურჩია პოლიციელისათვის 350 დოლარი მიეცა და ამასთანავე პატიმრად დანებებულიყო, ანდა თავის ნაცვლად სხვა დაეჭირავებია და ის გადაეცა პოლიციელისათვის. კარპმა 100 დოლარად იქირავა „შემცვლელი“, რომელიც დააპატიმრა პოლიციელმა. მაგრამ საქმე მოულოდნელად უკუღმა შეტრიალდა; „საცემად დაქირავებული ბიჭი“ უეცრად გაჯიუტდა და გათქვა დამქირავებელი.

პოლიცია იძულებული შეიქნა დაეპატიმრებია გროსი. თუმცა, უნდა ითქვას, რომ პოლიციელები შეეცადნენ ხიფათში ჩავარდნილი განგსტერისათვის „მდგომარეობა შეემსუბუქებიათ“, და გროსის საქმე გადაეცა მოსამართლე ლიბოვიცს, განგსტერების მფარველს, რომელმაც თავის კარიერას ბანდიტ ალ-კაპონეს გამართლებით გაუხსნა გზა.

გამოძიების დროს გამოირკვა, რომ გროსი ბრუკლინის პოლიციას ყოველწლიურად უხდიდა მილიონ დოლარს მხოლოდ იმისათვის, რომ, როგორც თვითონ თქვა, პოლიციას „დაეცვა“ მისი სამორინო სახლები. გარდა ამისა, ნახევარი მილიონი დოლარი იხარჯებოდა წვრილფეხა პოლიციელების მოსაქრთამავად, კვირაში 6 დოლარის ანგარიშით თვითეულ პოლიციელზე. კიდევ ნახევარი მილიონი იხარჯებოდა „უფრო მაღალი თანამდებობის პირების“ ქრთამებზე, — მათ ყოველ კვირაში 9 ათას დოლარამდე აძლევდა გროსი. გარდა ამისა, ნიუ-იორკის პოლიციის სამი მაღალი თანამდებობის პირი გროსის ფირმის პირდაპირი კომპანიონები იყვნენ. აქვე უნდა ითქვას, რომ გროსის ფირმის კანტორა ბრუკლინის მუნიციპალიტეტის შენობის მეზობლად იმყოფებოდა. ამ კომპანიონების სახელები ჯერჯერობით არაა ცნობილი. ძიებაში მყოფი გროსი აცხადებს, რომ იგი ვერ გათქვამს მათ სახელებს, რადგან, ბოლოს და ბოლოს, სინდისიც კარგი საქონელია,—გროსი მათ სახლებში ყოფილა, მათ ოჯახებს ახლო იცნობს და არ უნდა მათ ცოლშვილს უსიამოვნება მიაყენოს, ბანდიტსაც აქვს „სინდისი“!

ნიუ-იორკის პოლიციის ამ სკანდალს სრულიად მოულოდნელი შედეგები მოჰყვა.

მასში გარეული ნიუ-იორკის ყოფილი მერი ო'დვაიერი მოულოდნელად ამერიკის შეერთებული შტატების ელჩად დაინიშნა მექსიკაში. ამ მოქნილი სვლით ვაშინგტონის ხელისუფლებამ ახალ მხილებიდან იხსნა არა მარტო ო'დვაიერი, არამედ სხვა უფრო მსხვილი პირებიც.

ოღონდ ბედმა უღალატა კაპიტან ჯონ ფლინს, ბრუკლინის თანამშრომელს. თუ მისტერ ო'დვაიერი მექსიკაში გაგზავნეს, კაპიტანი ფლინი ცოტა უფრო შორს—საიქიოს გაისტუმრეს. ჯონ ფლინმა, როგორც კი სასამართლოს უწყება მიიღო, „თავი მოიკლა“. ექვსი ათასი პოლიციელი თვით ო'დვაიერის მეთაურობით მიაცილებდა მის ცხედარს, რომელმაც საუბედუროდ სიცოცხლეში ძალზე ბევრი რამ იცოდა...

ნიუ-იორკში მომხდარი სკანდალი „ამერიკული ყოფა-ცხოვრების“ ჩვეულებრივი, ყოველდღიური ამბავია. დღეგანდელ ამერიკაში, შეჰხვდეა—პოლიციელი რომ დასდევდეს განგსტერს და განგსტერი ემალებოდეს პოლიციელს—მხოლოდ რომანების თემაა. სინამდვილეში კი დეტექტივი იცავს განგსტერებს, განგსტერი კი უნაწილებს მას თავის შემოსავალს.

დმანისის საძოვრებზე

ზღვის დონიდან 1 400 — 1 500 მეტრის სიმაღლეზეა გაჭიმული დმანისის რაიონის იალაღები. აქ გაზაფხულიდან გვიან შემოდგომამდე ბიბინებს ნოყიერი ბალახის მწვანე ხავერდი, თვალს იტაცებს მინდვრის ნაირფერი ყვავილები. მსუყე რძეს იძლევა აქაური ბალახით ნაკვები ძროხა.

ხალხში გავრცელებულია ერთი ასეთი ანდაზა: „ძროხას რძე ენაზე აქვსო". ეს ასე უნდა გავიგოთ: თუ ძროხას კარგად გამოკვებავ, რძესაც ბლომად მიიღებ.

ეჭვს გარეშეა, რომ ამ მხრივ სავსებით უზრუნველყოფილი არიან დმანისის რაიონის მსხვილფეხა რქოსანი საქონლის საბჭოთა მეურნეობის ძროხები მათ ზამთარ-ზაფხულ საკმაოდ უხვად აქვთ კარგი და ნოყიერი საკვები.

დმანისის რაიონში ძველადაც არსებობდა რძის გადამამუშავებელი ქარხნები, რომელთაც კერძო მესაკუთრენი ფლობდნენ, მაგრამ მათი პროდუქცია უხარისხო იყო. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ აქ მკვიდრი საფუძველი ჩაეყარა ჯიშიანი მსხვილფეხა რქოსანი საქონლის მოშენებას, არსებითად გადაკეთდა ძველი ქარხნები და ამ ქარხნებში პრიმიტიული წესით მუშაობა მექანიზაციით შეიცვალა; გასულ წელს აშენდა კიდევ ერთი, უახლესი ტექნიკის მიხედვით აგებული ყველ-კარაქის გადამამუშავებელი ქარხანა.

სარძეო მეურნეობის განვითარებასთან ერთად, დმანისელები წარმატებით ასრულებენ მეცხოველეობის განვითარების სამწლიან გეგმასაც, ისინი ამრავლებენ ჯიშიან საქონელს.

თუ ხევსურული ძროხა 250-400 კილოგრამს იწონის და კარგი მოვლის შემთხვევაში 700 ლიტრ რძეს იძლევა წლიურად, ამ საბჭოთა მეურნეობის ჯიშიანი ძროხა, როგორიცაა მაგალითად „კიოტა", 550 კილოგრამს იწონის. მას უკვე ცხრა ხბო ჰყავს და არც ერთ წელს აო მოუცია 3.500 ლიტრზე ნაკლები რძე.

მაგრამ „კიოტა" სანიმუშო ძროხად როდი ითვლება აქ მეურნეობაში. მისმა ნაშიერმა „ზაიბახამ" გასულ წელს 4.756 ლიტრი რძე მოიწველა. „კიოტას" თაობას სახელი გაუთქვა მისმა დეკეულმა „ბოტამ". წველადობის განსაზღვრული პერიოდის — ს მასი დღის გასვლის შემდეგაც „ბოტა" კვლავ ბევრ რძეს იძლეოდა. ამიტომ განაგრძეს მისი წველა და მთელი წლის განმავლობაში მიიღეს 7.174 ლიტრი რძე. რაც შეეხება ძროხის წონას, „ბოტამ" 50 კილოგრამით გაუსწრო თავის დედას — „ზამბახას".

საუკეთესოთა რიცხვი აქ საკმაოდ დიდია. მეურნეობას ჰყავს 290 მეწველი ძროხა, თვითეული მათგანი წლიურად 3.500 კილოგრამ რძეს იძლევა საშუალოდ. ჯიშიანი ძროხების გამრავლებით და წველადობის ზრდით მეურნეობამ შარშან გეგმაზე ზევით გადაამუშავა 100 ათასამდე კილოგრამი რძე.

— აი, ძროხებიც ასეთი უნდა! — აღტაცებით იტყვის ხოლმე ყველა მნახველი, მაგრამ ამ აღტაცებას როდი იზიარებენ საქართველოს მეცხოველეობის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის და თვით ამ საბჭოთა მეურნეობის მუშაკები. კიდევ მეტ წველადობას, რძის მეტ ცხიმიანობას და საქონლის მეტ გამძლეობას მოითხოვენ ისინი.

მისასალმებელია, რომ დმანისის საბჭოთა მეურნეობაში საქონლის ახალი ჯიშის გამოყვანა წარმოებს ადგილობრივი ბუნებრივი პირობების გათვალისწინებით. ადგილობრივი საუკეთესო ძროხა თავისი ღირსებით ხევსურულს არ ჩამოუვარდება. მართალია, ხევსურული ძროხა შედარებით მცირე წონისაა და რძესაც ძუნწად იძლევა, მაგრამ კარგი კვებითა და მოვლით მისი წველადობა ბევრად მატულობს. ამასთან ერთად, მისი რძე ხუთ და უფრო მეტ პროცენტ ცხიმს შეიცავს. ამის ბუნებამ და ხალხურმა სელექციამ ხევსურული ძროხა შაგარი ჩლიქებითა და დიდი გამძლეობით დააჯილდოვა. მისთვის საშიში როდია შორი მანძილის გადალახვა და კლდოვანი მთების ბილიკებზე სიარული. კარგად შერჩეული მაღალ მთებზე გადასვლას დმანისის საბჭოთა მეურნეობის საქონელიც. აქ ბევრია ისეთი ძროხა, რომელიც ხევსურულს არც შორს მგზავრობაში ჩამორჩება და არც რძის ცხიმიანობაში. ასეთია, მაგალითად „ვენერა". მისი რძე 5.25 პროცენტ ცხიმს შეიცავს და ხაღებივით სქელია.

მეურნეობის სელექციონერები ცდილობენ, რომ „ვენერას" რძის თვისებები მის მომდევნო თაობასაც გადასცენ. მაგრამ საჭიროა ახალ ნაშიერა გააჩნდეს კიდევ ის თვისებებიც, რომელიც „ვენერას" არ გააჩნია. იგი შედარებით ნაკლები რაოდენობის რძეს იწველის, ვიდრე სხვა „რეკორდსმენი" ძროხები. აქიტომ „ვენერასა" და მის დეკეულებს აჯვარებენ იმ ბუღებთან, რომლებიც ყველაზე მაღალი წველადობის ძროხებისაგან გაჩენილან. ასეთი ბუღები კი ჩამოყავთ საბჭოთა კავშირის მეცხოველეობის საუკეთესო საჯიშე მეურნეობებიდან, უმთავრესად კარაკალეიდან, რომელიც მდებარეობს ქალაქ კოსტრომის მახლობლად.

კოსტრომული და ადგილობრივი ჯიშის ცხოველთა შეჯვარება საფუძვლად უდევს სასელექციო გეგმას, რომელსაც ხანგრძლივი ცდებისა და დაკვირვების შედეგად ადგენენ მეურნეობის დირექტორი გენადი დონაძე, უფროსი ზოოტექნიკოსი ლავრენტი ნაროუშვილი და საქართველოს სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი ნესტორ გოცირიძე. ამჟამად ნ. გოცირიძის სამეცნიერო ლაბორატორია დმანისის საბჭოთა მეურნეობის იალაღები და ბოსლებია.

დიდია ამ მეურნეობის ზრდის პერსპექტივა. დმანისელ მეცხოველეთა ამოცანაა — მიაღწიონ ჯიშიანი ძროხების მეტ წველადობას, ნამატის ძოლიანად შენარჩუნებას, მეურნეობის სრულ მექანიზაციას.

ბ. ი—ე

ელექტრონული მიკროსკოპი

საქართველოს სამეცნიერო-კვლევითი ვეტერინალურ ინსტიტუტში დაიდგა საბჭოთა მეცნიერების მიერ კონსტრუირებული, საბჭოთა ქარხანაში დამზადებული ელექტრონული მიკროსკოპი. ეს არის დაახლოებით 2 მეტრის სიმაღლის რთული აგრეგატი.

მიკროსკოპი იკვებება 220 ვოლტის ძაბვის ცვალებადი დენით. მის ელექტროსქემაში შემავალ მაწყობილობათა საშუალებით აქ ელექტროდენის ძაბვა აღწევს 50000 ვოლტს. ეს უზრუნველყოფს ელექტრონების ნაკადის დიდ სიჩქარეებს, რაც იძლევა ობიექტის გამოსახულების 25 ათასამდე გადიდების საშუალებას.

მიკროსკოპის მთავარ ნაწილში, მისი სვეტის სიღრმეში, სადაც თავსდება ობიექტი და სადაც მიეპარება ელექტრონების ნაკადი, ორი მძლავრი ელექტროტუმბოს საშუალებით უჰაერო სივრცე შეიქმნება, რომლის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა გამოსახულების მიღება.

მიკროსკოპის მონტაჟი ჩატარა საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სოფელელექტროს თბილისის კანტორამ (ინჟინერი პ. ჩაბალიანი).

ჩვენ თვალს უშუალოდ, რაიმე ხელსაწყოს გარეშე, შეუძლია დაინახოს ნაწილაკი, რომლის ზომა მილიმეტრის ერთ მეათედს უდრის, ანუ ასასე მეტია. უფრო მცირე ნაწილაკების გასარჩევად ჩვენ მივმართავთ გადიდებელ მინას, რომელსაც ლუპა ეწოდება, ან ასეთი ლუპებისაგან შედგარ რთულ ხელსაწყოს—მიკროსკოპს.

სხვადასხვა სიმძლავრის ლუპები იძლევიან საგნების გამოსახულების გადიდებას $1^1/_2$-დან რამდენიმე ათეულამდე. მაგრამ უძლავრესი ლუპის საშუალებითაც კი შეუძლებელია დაინახოთ ისეთი მცირე ნაწილაკები, წარმოქმნები და არეები, როგორიცაა ზოგიერთი კრისტალები, უჯრედები და ბაქტერიები. მათი შესწავლა წარმოებს ე. წ. ოპტიკური მიკროსკოპების საშუალებით. თანამედროვე მძლავრი ოპტიკური მიკროსკოპი, სადაც გამოსაკვლევი საგნის გაშუქება ხდება დღის სინათლით, ან ელექტროშუქით, საგნის გამოსახულებას ადიდებს, მიახლოებით, ათასჯერ. მასთან შედარებით, ორჯერ უფრო მძლავრია მიკროსკოპი, სადაც ჩვეულებრივი სინათლის მაგიერ, საგნის გამოსახულების, უჯრო სწორად კი, მისი კვალის მიღება ხდება ე. წ. ულტრაიისფერ სხივებში. მაგრამ ეს მიკროსკოპიც არ იძლევა საშუალებას გავარჩიოთ საგანი, რომლის ზომა მილიმეტრის მეათეასედზე ნაკლებია. ბუნებაში კი ბევრია არა მარტო ასეთი საგანი, არამედ ცოცხალი არეებიც კი.

დღეს მეცნიერებისათვის ცნობილია მრავალი უხილავი არსება, რომელთაც ვირუსები, ანუ ულტრავირუსები ეწოდება. ბევრი ამ ვირუსთაგანი იწვევს მცენარეებისა, ცხოველებისა და ადამიანის გადამდებ დაავადებებს. ვირუსების ღრმა მეცნიერულ შესწავლას წინ ეღობებოდა ოპტიკური მიკროსკოპის მცირე სიმძლავრე. უდიდესი ზომის ვირუსიც კი, უკეთეს შემთხვევაში, შეიძლება გარჩეულ იქნას ოპტიკური მიკროსკოპის საშუალებით, როგორც უმცირესი უფორმო ნაწილაკი, რომელიც იმყოფება მიდადელობის საზღვარზე. ეგი ეთქმის არაორგანული და ორგანული ნივთიერებების უმცირეს შემადგენელ ნაწილაკებზეც.

ვირუსთა უდიდესი ნაწილი, ისევე, როგორც სხვადასხვა ნივთიერების უმცირესი ნაწილაკები (დიდი ორგანული მოლეკულები, კოლოიდური ნაწილაკები, ე. წ. სუბმიკროსკოპიური ლალები) ოპტიკური მიკროსკოპის შესაძლებლობებია ფარგლებს ბევრად სცილდება, რის გამოც ისინი უკანასკნელ დროამდე უხილავი იყვნენ ადამიანისათვის.

ელექტრონული მიკროსკოპის გამოგონება საშუალებას აძლევს მეცნიერებას შეისწავლოს ამ უხილავი სამყარო.

სხვადასხვა სხივების უნარი, რომლის გამო ისინი შესაძლებელს ხდიან დავინახოთ საგანი, ან ძისი გამოსახულება, დამოკიდებულია მათი ტალღის სიგრძეზე. რამდენადაც მოკლეა სხივის ტალღა, იმდენად დიდია მისი ეფექტი, ანუ სხივის ოპტიკური შესაძლებლობა. ელექტრონული სხივების ტალღის სიგრძე ცვალებადია, იგი იმდენად მკირეა, რამდენადაც ჩქარია ელექტრონების სისწრაფე, რომელიც თავის მხრივ, დამოკიდებულია ელექტრულ ძაბვაზე. რადგანაც ძაბვა აღწევს 50.000 ვოლტს ელექტრონული სხივის ტალღის სიგრძე უდრის 5 : 1000000000000 სანტიმეტრს, ანუ იგი 100.000-ჯერ უფრო ნაკლებია, ვიდრე ყველაზე უფრო მოკლე—სინათლის ლურჯი სხივის ტალღის სიგრძე. ამის შესაბამისად, ელექტრონული სხივის ოპტიკური შესაძლებლობა ბევრად უფრო მეტია სინათლის სხივის ოპტიკურ შესაძლებლობაზე. ელექტრონული მიკროსკოპით ჩვენ შეგვიძლია გავარჩიოთ ნაწილაკები, რომლებიც ასეულჯერ უფრო მკირენი არიან ოპტიკური მიკროსკოპის შესაძლებლობის საზღვარზე მყოფ ნაწილაკებზე.



საქართველოს სამეცნიერო-კვლევითი ვეტერინალური ინსტიტუტი. ფოტოზე: მიკრობიოლოგიის ლაბორატორიის გაგგე, ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი ს. ბერულავა (მარჯანიკ) და უმცროსი მეცნიერ-მუშაკი ვ. ჯეირანიშვილი ელექტრონის მიკროსკოპთან მუშაობის დროს.

ფოტო ვ. გინზბურგისა

თანამედროვე ოპტიკური მიკროსკოპით შესაძლებელია დავინახოთ ნაწილაკი, თუ მისი დიამეტრი არანაკლებია 0,2 მიკრონზე, ე. ი. მილიმეტრის 2 მეათიათასედზე (0 0002 მმ). თუ გავიხსენებთ, რომ ოპტიკური მიკროსკოპი საგნის გამოსახულებას ადიდებს 1000-ჯერ, ასეთი ნაწილაკი ჩვენ წარმოგვიდგება 0,2 მილიმეტრის ზომის მქონე წერტილის სახით, ჩვენ მასძლივს გავარჩევთ; რადგანაც, როგორც ზევით ვთქვით, ადამიანის თვალს არ შესწევს უნარი დაინახოს 0.1 მილიმეტრზე ნაკლები ზომის სხეულაკი. ელექტრონული სხივების გამოყენებამ საშუალება მოგვცა თავისუფლად გავარჩიოთ გაცილებით უფრო მცირე ნაწილაკების სტრუქტურა. მინების ნაცვლად ელექტრონული მიკროსკოპის ლინზებად გამოყენებულია ელექტროდენის საშუალებით შექმნილი მაგნიტური არე.

მაგრამ ელექტრონული სხივები ხომ ჩვენი თვალისათვის უხილავია! მაშ, როგორ გავაშუქოთ მათი საშუალებით საგანი?—ეს ხერხდება ელექტრონული სხივების ორი თვისების გამო. ელექტრონული სხივები იწვევენ სპეციალური შემადგენლობით დაფარული ზედაპირის ფლუორესცენციას. ამიტომ ელექტრონულ მიკროსკოპში გამოსაკვლევი ობიექტის სახლოო გაძოსახულება მიიღება ასეთი შემადგენლობით დაფარულ ეკრანზე, რომელსაც შეიძლება უყუროს სპეციალური ფანჯრების საშუალებით ერთდროულად 3 ადამიანმა. გარდა ამისა, ელექტრონული სხივები ახდენენ ძლიერ ფოტოგრაფიულ ეფექტს, განსაკუთრებით, სპეციალურად მათ მიმართ მგრძნობიარე ფოტოფირალზე. ელექტრონულ მიკროსკოპს უშუალოდ ეკრანის ქვეშ მოწყობილი აქვს ფოტოკამერა, სადაც თავსდება კასეტი 4 ფირფიტით. ობიექტის გასინჯვისას სპეციალური სახელურის უბრალო აწევით ეკრანიც აიწევს და წარმოება ობიექტის ფოტოგადაღება.

ელექტრონული მიკროსკოპის ოპტიკური შესაძლებლობანი მიღებული ფოტონეგატივის რამდენჯერმე გადიდების საშუალებას იძლევა, რის შედეგად თვალისათვის ხილული ხდება ობიექტის ისეთი მცირე დეტალები, რომელნიც გადიდებამდე თვალისთვის უხილავნი იყვნენ.

ელექტრონული მიკროსკოპის შესაძლებლობათა ნათელსაყოფად მოვიყვანთ ერთ მაგალითს.

წარმოვიდგინოთ, რომ ჩვენ ვიკვლევთ ძალას, სადაც გვაქვს საშუალება უფრო მცირე ბაქტერიები, რომელთა სიგრძე უდრის 1 მიკრონს, ხოლო სისქე—მიკრონის ერთ ეათეულს. ოპტიკური მიკროსკოპის ქვეშ, 1000-ჯერ გადიდებით, ეს ბაქტერიები მოგვეჩვენებიან, როგორც უწვრილესი ჩხირები სიგრძით 1 მილიმეტრის და სისქით მილიმეტრის მეათედი, ანუ მათი გამოსახულების სისქე (სიგანე) იქნება ჩვენი თვალის მხედველობითი ბესაძლებლობის საზღვარზე. ცხადია, რომ ასეთ მცირე ჩხირებში ჩვენ ვერავითარ შინაგან აღნაგობას ვერ გავარჩევთ.

ვთქვათ ახლა, რომ იმავე ბაქტერიებს ჩვენ ვსინჯავთ ელექტრონული მიკროსკოპით, რომელიც გადიდებას ადიდებს 20 ათასჯერ, მისი შესაძლებლობა კი საშუალებას იძლევა გარჩეული იქნას ნაწილაკი, რომლის ოდენობა 2 მილიმიკრონს, ე. ი. მილიმეტრის 2 მეტილიონედს უდრის.

ასეთ შემთხვევაში ეკრანზე გამოჩნდება ჩხირები, რომელთა სიგრძე იქნება 2,5 სანტიმეტრი, სისქე კი 2,5 მილიმეტრი, ე. ი. ისინი გამოჩნდებიან ეკრანზე თითქმის ასანთის ღეროების ოდენობამდე. ცხადია, რომ ასეთი ოდენობის გამოსახულებაზე მკაფიოდ გამოჩნდება ბაქტერიების შინაგანი აღნაგობა იმ წვრილმანებამდე, რაც ადამიანის თვალის მხედველობით შესაძლებლობაზე (0,1 მმ) მცირე არ არის.

თუ ჩვენ გვსურს უფრო ღრმად ჩავიხედოთ ბაქტერიის აღნაგობაში, მისი ფოტოგრაფირების შემდეგ დავამზადებთ ნეგატივთან შედარებით, ვთქვათ, 4-ჯერ გადიდებულ სურათს. ამ შემთხვევაში ბაქტერია გადიდდება 1000.000-ჯერ და ჩვენს თვალწინ სურათზე გამოჩნდება ბაქტერია, რომლის სიგრძე იქნება 10 სანტიმეტრი, სისქე (სიგანე) კი—1 სანტიმეტრი.

ვ. ჯეირანიშვილი

აკაკი წერეთლის უცნობი ლექსი

საქ. სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილებაში კერძო პირმა წარმოადგინა აკაკი წერეთლის ერთი უცნობი ლექსი, სათაურით — „ჩემი მტრები“.

ლექსი უთარიღოა. ტექსტი გადაწერილია უცნობი ხელით, პატარა ზომის ფოსტის ქაღალდის ფურცლის ორივე მხარეს, მელნით. ფურცელი დაზიანებულია, მაგრამ ლექსი მთლიანად გარკვევით იკითხება. ბოლოში ხელმოწერილია — აკაკი. ლექსის მიკუთვნება აკაკი წერეთლისადმი არავითარ ეჭვს არ იწვევს. ლექსი უთუოდ მნიშვნელოვანია პოეტის ლიტერატურული მემკვიდრეობისათვის. ტექსტი მთლიანად ქვეყნდება*.

ჩემი მტრები

ისე, როგორც გველს გოგირდი,
ყოველ ცუდ კაცს ვეჯავრები!
ბევრს არ ვიცნობ, ვერც მიცნობენ
მოსისხარი ჩემი მტრები!

ხმის აყოლით, სხვის ფერხულში
რომ ჩაბმულან უმეცრები,
აღარც სიტყვით, აღარც საქმით
აღარ მზოგვენ ჩემი მტრები.

მე კი მათზე ფარს ვერ ვიხმარ,
არც სხვებს შველას ვევედრები:
საპასუხოთ არა ღირან
ქონდარიკა ჩემი მტრები.

სიტყვა ბინძურ, საქმე მურტალ,
ზნეობითაც ცოცხალ-მკვდრები,
უსირცხვილოდ და უშიშრად
ფუსფუსობენ ჩემი მტრები.

ჭინჭვლებივით ირევიან,
მეც მაცდენენ ის ოხრები...
ქვესკნელიდან ამომძვრალი
მრავალ გუნდათ ჩემი მტრები.

ვის რად უკვირს რომ მე მათზე
არა ვჯავრობ, არცა ვწყრები
და არც ვცდილობ სათვითოოდ
რომ გავსრისო ჩემი მტრები!

ისე დაბლა ვერ ჩამოვალ,
იმდენად ვერ დავიხრები,
რომ გავხადო ღირსი ბრძოლის
ჭია-ღუა ჩემი მტრები!

მაგათ, ისე უჩემოთაც
დრო მოუვათ... მოვესწრები,
რომ ქვესკნელში მიძვრებოდენ,
ფუცა-ფუცით ჩემი მტრები!

აკაკი

* ლექსი კომენტარით რედაქციას მოაწოდა **ამხ. შალვა გოზალიშვილმა**



ზოოპარკში

ფოტო რ. აკოფოვისა

დადგა გაზაფხული. აფრიკისა და ინდოეთის ცხოველებს გამოცოცხლება დაეტყოთ, მადა გაეღვიძათ. კიდევ ერთი ზამთარი გადაიტანეს ტროპიკულ მზეს შეჩვეულმა ცხოველებმა, თუმცა არც ისე ძლიერ აწუხებდათ სიცივე, — მათ სადგომებს სპეციალურად ათბობდნენ ზამთრის განმავლობაში. სამაგიეროდ პინგვინები და თეთრი დათვები შეაწუხა სიცხემ, მომვლელთა ყურადღება ახლა მათზე გადავიდა; პოლარული ზონის მკვიდრები ცივი წყლით სავსე აუზებში ნებივრობენ, საკუთარ სტიქიაში გრძნობენ თავს; ასეც რომ არ იყოს, ისინი ხომ პირველად არ ხვდებიან თბილისში გაზაფხულს, უკვე შეეჩვივნენ.

ზოოპარკის ყველაზე ხშირი სტუმრები ბავშვები არიან. ისინი გაფაციცებით ადევნებენ თვალს ზღაპრებში გაგონილ ცხოველებს: აი, მელია — კუდიგრძელია, აი, მგელი — თვალებბრიალა და დათუნა — თაფლიჭამია.

როდესაც ბავშვები მტაცებელ ცხოველთა ვოლიერში შევიდნენ, მხეცები ისვენებდნენ, ლომი ზურგზე დაწოლილიყო და ფეხები მაღლა აეშვირა, ვეფხვს ძლიერ თათებში ჩაერგო თავი და თვლემდა.

— მართალი ვეფხვია? — ჰკითხა პატარა გოგონამ მასწავლებელს, როდესაც უძრავად დაწოლილ მხეცს მოჰკრა თვალი. მაგრამ ვეფხვს ხმაურობაზე გაეღვიძა და თავისი ბასრი კბილები გამოაჩინა, შეშინებული გოგონა კი მასწავლებელს ამოეფარა...

დაიწყება თუ არა გაზაფხული, ხალხით ივსება თბილისის ზოოპარკი. დიდები ახალი ცხოველების სანახავად მოდიან, პატარებს კი არასოდეს სწყინდებათ ზოოპარკის დათვალიერება.

ფოტოზე — ზემოთ: ბავშვები გაზაფხულის პირველ მზიან დღესვე ესტუმრნენ ზოოპარკს. ისინი განსაკუთრებით გააოცა ავსტრალიის სირაქლემა — ემუმ. ემუს სიმაღლე 170 სმ. აღწევს, წონა — 80 კგ. ამ ფრინველისათვის დამახასიათებელია ის, რომ კვერცხების გამოსაჩეკად ჯდება მამალი, დედა ემუ კი ამ დროს არხეინად დასეირნობს.

ქვემოთ: აფრიკული ციყეტა საშუალო ძაღლის ოდენაა. იგი შესანიშნავია იმით, რომ სპეციალური ჯირკვალიდან გამოჰყოფს ნივთიერება მუსკუსს, რომელსაც საპარფუმერიო მრეწველობაში იყენებენ. თბილისის ზოოლოგიურ პარკში ციყეტას განსაკუთრებულად უვლიან, რადგან იგი ერთადერთი ეგზემპლარია საბჭოთა კავშირში.

ზოოპარკის ვეტექიმები ქ. ლეჟავა და ნ. გიორგანაშვილი მკურნალობენ ავადმყოფ ფარშავანგს.



თბილისის ზოოლოგიური პარკი

თბილისის ზოოლოგიური პარკი 1927 წელს დაარსდა.

საგრძნობლად მრავალფეროვანია ზოოლოგიური პარკის „მკვიდრთა“ ადგილობრივ ენდემური და უცხოურ ცხოველთა სამყარო. აქ არის 190-მდე სხვადასხვა სახის ცხოველი, ფრინველი და თევზი, რომელთა საერთო რაოდენობა 7.000-მდე აღწევს.

ზოოპარკში კარგად არის დაყენებული აკლიმატიზაციის საქმე. წინათ ზოოპარკის პირობებში ბეჰემოტები არ მრავლდებოდნენ. მაგრამ მოსკოვის ზოოლოგიური პარკის მეცნიერ-მუშაკებმა მიაღწიეს იმას, რომ ახლა ბეჰემოტები ტყვეობაშიც მშვენივრად გრძნობენ თავს და შთამომავლობასაც იძლევიან. თბილისის ზოოლოგიური პარკის ბეჰემოტი „შალუნი“ მოსკოვშია დაბადებული. იგი ჯერ კიდევ ახალგაზრდაა, როდესაც ზრდას დაამთავრებს, 2.500 კილოგრამს აიწონის და 3 მეტრი სიგრძე ექნება. ცნობილია, რომ ეს ცხოველი ტროპიკული ქვეყნების ბინადარია და მაღალი ტემპერატურა უყვარს, ამიტომ მის სადგომში 28-30 გრადუსი სითბოა.

ფრინველებიდან აღსანიშნავია საქართველოს ფაუნის ძვირფასი წარმომადგენელი კავკასიური ხოხობი. მან გავრცელება ჰპოვა წმ. ელენეს კუნძულზეც კი, სადაც მე-18 საუკუნეში იყო შეყვანილი. ზოოლოგიურ პარკში მათთვის აგებულია ერთ-ერთი ულამაზესი ვოლიერი.

ზოოპარკის აქვარიუმებსა და აუზებში თვრამეტი სხვადასხვა სახის დეკორაციული თევზია. 15 წლის წინათ ზოოპარკმა შეიძინა ინდოეთის თბილი წყლების დეკორაციული თევზი — ბარბუსი. მის შესანახ აქვარიუმებში წინათ წყლის ტემპერატურა 20-25 გრადუსი იყო. ახლა აკლიმატიზაციის შედეგად ეს იშვიათი თევზი 10-12 გრადუსიან წყალშიც კარგად გრძნობს თავს.

შ. ივარდავა

თბილისის ზოოლოგიური პარკის განყოფილების გამგე

↑ საინტერესო ისტორია აქვს ამ ვეფხვს. იგი უსურიის ტყეში შეიპყრეს, მაგრამ ვეფხვმა გაქცევა მოახერხა. მონადირეებმა რამდენიმე ათასი კილომეტრი სდიეს და ექვსი თვის შემდეგ კვლავ დაატყვევეს. მომვლელი მუშის დაუდევრობით ამ ვეფხვმა თბილისის ზოოლოგიური პარკიდანაც დაიდწია თავი ტყვეობას. მაგრამ ამაოდ, იგი მესამედ „დააპატიმრეს“ და კვლავ გალიაში მიუჩინეს ადგილი.

მომვლელი ქალი სტაფილოს ურიგებს მაიმუნებს. პატარა „ვივი“ და მამა „ვოვა“ მოუთმენლად ელიან თავიანთ რიგს. „ვივის“ ადრე გარდაეცვალა დედა და მისი აღზრდა მამამ იკისრა. ეს მაიმუნები კაპუცინების ოჯახს ეკუთვნიან. ↓

მუხნარით დაფარულ გორაკიდან თვალწინ იშლება კოლხეთის დაბლობის თვალუწვდენელი მიდამოები. ათეულ კილომეტრებზე გადაჭიმულა კოლმეურნეთა მზრუნველი ხელით გაშენებული ძვირფასი სუბტროპიკების პლანტაციები, ბაღ-ვენახები და ნაყოფიერი სახნავ-სათესი მინდვრები. მაგრამ აქაურ მშრომელებს დაუძინარი მტერიც ჰყავთ. ეს არის გაზაფხულსა და ზაფხულზე კახპიის მხრიდან წამოსული ცხელი ხორშაკი, ხოლო ზამთრობით — დასავლეთიდან მქროლავი ცივი ქარები. დიდხანია ოცნებობდა ხალხი ამ სტიქიურ ძალებისაგან თავის დაღწევაზე.

ბუნების გარდაქმნის სტალინური გეგმა ახორციელებს მშრომელთა ოცნებას. ამ გეგმის მიხედვით, ხშირი ტყეების ზოლები გაშენდება რიონის ველზე, მთელ კოლხეთის დაბლობზე. მწვანე კედელი გზას გადულობავს ქარებსა და გვალვას.

ქარების წინააღმდეგ ბრძოლა კოლხეთის დაბლობზე ორი წლის წინათ დაიწყო. 1950 წლის გაზაფხულზე შეუდგნენ ევკალიპტების ზოლის მოშენებას. თერთმეტი ასეთი ზოლი დასერავს ველს, აიმართება ევკალიპტების მწვანე კედლები, რომლებიც მოიგერიებენ, როგორც დასავლეთის, ისე აღმოსავლეთის ქარების შეტევას.

ამ მწვანე საფარების გასაშენებლად, მთავრობის დადგენილებით, დამცველი ტყის ოთხი სადგური დაარსდა. სადგურები უზრუნველყვეს მძლავრი ტექნიკით, ხელსაწყოებით, მასალებით და მოწინავე სპეციალისტებით.

ჩვენ მერვე სახელმწიფო ზოლზე ვართ. იგი იწყება სოფელ ამაღლებიდან, ჭრის ვანის, ქუთაისის, წყალტუბოს რაიონებს და მიდის სოფელ მაღლაკამდე.

შეუძლებელია გულგრილად უცქირო, სიხარულისაგან გული არ აგითრთოლდეს მაღალი, აშოლტილი ევკალიპტების დანახვისას. მათ ტოტები გაუწოდეს ერთმანეთს და შექმნეს, ჯერ თუმცა სუსტი, მაგრამ უკვე მთლიანი კედელი.

ამ ზოლში, ისევე, როგორც ტყის სხვა ზოლებშიც, უმთავრესად ევკალიპტებია დარგული. შემთხვევით არ აურჩევიათ სპეციალისტებს ეს მრავალმხრივ ძვირფასი, სწრაფმზარდი ხის ჯიში. ჩაი, ციტრუსები, ტუნგო და სხვა სუბტროპიკული კულტურები ვეგეტაციას ახდენენ ადრიან გაზაფხულიდან დაწყებული გვიან შემოდგომამდე. მათ მთელი წლის განმავლობაში სჭირდებათ ქარებისაგან დაცვა. მათი მფარველობა კი მხოლოდ ევკალიპტებსა და სხვა მარადმწვანე ხის ჯიშებს შეეძლება.

ხიამაყით უცქერის თავის ნამუშევარს ტყის ოსტატი ნიკოლოზ ფარნაოზის-ძე კიკნაძე, რომელსაც ჩვენ ოფშკვითის კოლმეურნეობის ნაკვეთზე შევხვდით. აქ ნორჩ ევკალიპტებს უკვე სამ მეტრზე მეტი სიმაღლე აქვთ.

შარშანწინ ამ ხეების წვეროებს რომ შეხებოდი, მიწაზე უნდა დახრილიყავი, ახლა კი თავისუფლად დაჰფარავს ცხენოსანს.

კიკნაძე ძალ-ღონეს არ ზოგავს ამ ახალი, დიდი საქმისათვის. გასულ წელს მის მიერ დარგული ხეების 87 პროცენტმა გაიხარა.

...ჭროდა ქარი. სუსტი ქარი ატოკებდა ნარგავების ფოთლებს. კიკნაძე მიუახლოვდა ხეებს. რამდენიმე ხანს ყურს უგდებდა ფოთლების შრიალს, შემდეგ ჩვენ მოგვიბრუნდა:

— ხომ გესმით როგორ შრიალებენ ფოთლები, შრიალებენ, როგორც ნამდვილ ტყეში!..

ირხევიან აშოლტილი ხეები. აღარ გინდა აქედან წასვლა, არ გინდა გაშორდე ამ ტყეს. მასში მოჩანს საბჭოთა ხალხის მიერ გარდაქმნილი ველ-მინდვრების ხვალინდელი დღე.

მ. დავითაშვილი

კროსვორდი



ჰორიზონტალურად:

1. ნაგებობის დამჭერი კონსტრუქცია. 6. ნავსადგური თეთრ ზღვაში. 9. ადამიანის სხეულის ნაწილი. 10. ფონეტიკური მოვლენა ხმოვნებში. 12. საგრილებელი. 13. მდინარე ევროპაში. 14. სამედიცინო პრეპარატი (გამაყუჩებელი). 17. ქალაქი ჩრდილოეთ იტალიაში. 18. მინდვრის მავნე მწერი. 19. სატელეგრაფო ანბანის გამომგონებელი. 20. ქალაქი ეგვიპტეში. 21. ავტომანქანის მარკა. 23. მინერალი. 26. ჯორჯ ზანდის ნაწარმოები. 28. გამხმარი ხილი. 29. ქედი თურქეთში. 31. გარეული ცხოველი. 32. მაწანწალა მუსულმანი ბერი. 33. სინი. 35. რჩევა-დარიგება სპეციალისტისაგან. 36. სახელმწიფო აღმოსავლეთში.

ვერტიკალურად:

1. ქალაქი დონბასში. 2. მუშაობის საზომი ერთეული. 3. კაკაკასიონის მწვერვალი. 4. ტბა საქართველოში. 5. ქალაქი ევროპაში. 7. ქედი აზიაში. 8. ბოსტნეული. 11. რუსი გეოდეზი. 15. სამშენებლო მასალა. 16. მთის ქანი. 22. ინგლისელი მწერალი. 24. კალმანის ოპერეტა. 25. რუსული ავიაციის მამა. 27. მდინარე ამერიკაში. 29. ნავსადგური ადრიატიკის ზღვაში. 30. აფრა. 34. მდინარე ევროპაში.

„დროშის" № 3 (8)-ში მოთავსებული კროსვორდის პასუხი

ჰორიზონტალურად:

5. მონაკო. 6. სილური. 9. სტატორი. 10. სექტორი. 15. კაენი. 16. აგიტატორი. 17. ქნარი. 20. ასფალტი. 21. ფლორი. 22. ჰერიოდი. 25. კიპრიდა. 26. კომედია. 27. ლეგიონი. 29. ალმა-ატა. 35. ბერინგი. 36. გაგრა. 37. სინათლე. 40. ოდერი. 41. რუსთაველი. 42. შტუფი. 45. ამირანი. 46. სტატუტი. 47. იყალთო. 48. ჯუნგლი.

ვერტიკალურად:

1. პოეტი. 2. ბადრაგი. 3. ალგებრა. 4. კრეტა. 7. სტენდალი. 8. ტრანზიტი. 11. ქარსი. 12. შტილი. 13. ფტორი. 14. კრედო. 18. სტერლინგი. 19. ვეგეტაცია. 23. ადენი. 24. ჯოული. 28. ეპიგრამა. 30. ტრაქტატი. 31. ვერდი. 32. ნართი. 33. კრივი. 34. ოლიფა. 38. ჟურნალი. 39. პლუტონი. 43. ერაყი. 44. სტილი.

გარეკანის პირველ გვერდზე: „ქართველი ფიზკულტურელები" რეპროდუქცია კ. კიკნაძის, ვ. შერპილოვის და ალ. გიგოლაშვილის სურათიდან.
მესამე გვერდზე: ზემო სვანეთის რაიონის სოფელ დიხის მარმარილოს კარიერი — ფოტო ნ. ჯომიდავასი.
მეოთხე გვერდზე: სალიეთის მარმარილოს კარიერზე — ფოტო ნ. ჯომიდავასი.
ჩართულ გვერდებზე: ლეონარდო და ვინჩის ნახატები.
ჩართული გვერდები და ტექსტი დაბეჭდილია ფოტოციინკოგრაფიაში.

გარეკანი დაბეჭდილია ფერადი ბეჭდვის სტამბაში.

რედაქტორი — გრიგოლ აბაშიძე

ნომერი გააფორმა ალ. ბანძელაძემ

სარედაქციო კოლეგია: შ. ბუაჩიძე, შ. გვინჩიძე (პ/მგ. მდივანი), ი. გიგინეიშვილი, დ. დოლიძე, მ. სააკაშვილი, ი. ციციშვილი, ვ. ჭელიძე, უ. ჯაფარიძე.

რედაქციის მისამართი: თბილისი, პლეხანოვის პრ., № 91. ტელ. № 3-95-38

ხელმოწერილია დასაბეჭდად 12/V -52 წ. გამომც № 93 ნაბეჭდი ფურც. 3½, ტირაჟი — 15.000 შეკვ. № 274 უე 02480

Ежемесячный общественно-политический и литературно-художественный журнал „Дроша" (на грузинском языке)

ბეჭდავთ სტუსკის კომბინატი. თბილისი, მარჯანიშვილის ქ., № 5.

36/73